



ნია გომელი

უ რომ ნანაციი

მწერალი...  
მწერალი...



ნიდ გორგოვან

ეს როგორც ნანაფრინი მწერლაპლაიაზია

მუჭათაძე

ძალაში  
2016

**კორექტორები: თავაძე პეტრი  
ნინო პეტრი**

**დამკაბდებული და  
კომპიუტერული უზრუნველყოფა – განიკარგა ლექტორები**

ISBN 978-9941-429-91-0





## პგჭორისაბან

სიხარული და ტყითილი, აღტაცება და სევდა, ცრემლის ნაპეტწ-ლებში იმედის გმინათება, – პოზის განუყოფელი თანამეტაფრია. ეს ემთვიები ასტბრდოებს ამ ახალ კრებულსაც. გრძლა ამისა, აქ არის კიდევ რაღაც – სიმბოლურ-გროტესკულ-ეპატაფური, მაგრამ არა – უიმედობა...

რაჭომ ვდუმდი აქამდე? – ვეკითხები ხოლმე საკუთარ თავს... ჰჯავდა თუ არა დუმილს ჩემი ცხოვრება – ამაზე პასუხს ჩემსავე სტრიქონებში ვპთულთ:

„დუმილი მთვარეს ვულეანთა ნაშთბს,  
სიწყნარის ჰერქვეშ ხმაური ბორგვეს;  
რამდენი ბოლმას – დუმილში ახრჩთბს, –  
აუტანა უსატყვო ძრწოლას...“

ჰწმენა იმისა, რომ ქვეყანას მაჟულისტეილები და კომპეტენტური ადამიანები მართავდნენ, სიმბარ-ცხადში გაქრა (გინსაკუთრებით, ამ რა-მთდენიმე წლის წინ). მიზხდა, რომ დადგა დრო, როცა სულიერებით გაუდენილმა და ერთს წყლულის დამნახავ-შემფასებელმა ადამიანებმა უნდა შეავსონ სიგრცე, რომელიც დღეს ათასი ჯურის ლამაზნდარას და მარიონეტს აქვს დაკავებული:

„მეგთხა, ბრძენ მამამთავარით თუ ეპურათ ქვეყნის საჭენი...  
ეტყობა, ღამის ძილ-ღვიძლში ლამპზ თკნებებს ავყევი...  
ამ გასაჭირში მთასავით დამიხთარგდა სათქმელი,  
ვერაფეხს გაეხდი ტიპილით, ვერსად წავილე ჩივილი...“

ეს ლექსები ჩვენი ცხოვრების და თანამედროვე საწოგადოების მთლ-ვაწეობის სარკე და ანარეკლია; მრავალ მანქინირებათა გამო, გულისწყვეტა და სინანულია; შემფათებაა – ემთვიათა შეუკავებლობაა.... დას-მული კითხვაა ქარიშხლის გადავლის შემდგომ, სწრაფვაა ნანატრი მწვერვალებისაკენ:

„ბედის მშევილდებმა ქარიშხლებით ჩაც იავქარეს,  
დრო, სიავესთან წილნაყარი, კვლავ იავარქმნეს,  
პირისტნები - გალუცსმული თეთრ იალქანზე, –  
თუ დაუბრუნებს ჩვენს ცხოვრებას ახრს, სიამაყეს...“



„იქ რომ ნანატრი მწერლვალებია,  
შავი ლაპლები მწუხრით ნისლავენ,  
ლურჯი სტეპები სადღაც ქრებიან,  
გულქვა მხედრები წამებს თიბავენ;  
აქ, ცის ლაფვარდშიც არაფერია,  
წარმოსახვაშიც იმედს მიკლავენ;  
აშჩში სათუთა თუ რამ მშონია,  
აღმოფხვრილია ძირით-ძირამდე;  
ცხადიც, ზმანებაც ბინდის ფერია,  
ვეღაბ გვარტან, ალბათ, დილამდე;  
აბა, ამ ქვეყნად რა დამჩხენია,  
ლამჩ თცნებებს თუ ჩამიკლავენ.“

მაინც... ჩემი იმედიანი მწერა ადამიანისკენაა მიმართული. მაინჭე-  
რესებს - რა ამოძრავებს, რისკენ არის მიდრეკილი - რა ასულდ-  
გმულებს... მინდა დავინახო და ვაღიარო ადამიანი, როგორც უმაღლესი  
სულის გამოვლინება, პატივი ვცე და მთევეფერთ... ჩემი სურვილია, მათ  
სულში სინათლე ჩაიღვაროს - გაბრწყინდეს და გაცისკოვნდეს მათი  
აშოგენება:

„მარადიულ სითბოდან ლლება ერთი შეგნება,  
გმება უბიწოდის - სიყვარულის შეგრძება.  
სელები მაქს გაწვდილი, მწერ, თუ მიოენდება;  
სანამ მწეობ - ანათებ, ამ გულს ალი ენთება,  
გადმოლეარე სიკეთე - სიყვარულის შეგსება, -  
ვუძღვინი ადამიანებს, ვით უსაჩლერი ფერების.“

იმედი ჩემს გულს არასთავეს ტოვებდა... თუ ტრაგიულმა ეპთქეამ,  
სხვადასხვა უბედულებათა გამო, შექმნა კამიკაძებია, მჯერა - იყოვე ეპთ-  
ქა შექმნის ადამიანებს, რომლებსაც აღაშფოთობთ სისასტიკე და გასახ-  
მობად გაწირულ „თოთო ბალახს“ ჩემსავით დაუზოქებენ...

გამისარდება, თუ ჩემს ლექსებს ხალხი მიიღებს და შეიყვარებს, მა-  
გრამ უფრთ შეტან გამხარებს შედეგი - აღამიანების სელით და გულით  
გმოწვდილი სიკეთე, ჭეშმარიტი სიყვარული მთმმისა და ზრუნვა ქეყ-  
ნისათვის; მაშინ ჩემი „ხეც“ არ გახმება და იყვარილებს... სხვა რამ მძანი,  
გარწმუნებთ - არ გამაჩნია.



## მთავარი

თოთო ბავშვივით ვაზის კვირტის ათინათება,  
სიცოცხლისათვის კიდევ ერთი კარის გაღება,  
ნაზამთრალ გულში იისფერი შემონათება, –  
მწამს გაზაფხულის დიდებული შემობრძანება.


სიყვარულისთვის ერთგულების ფიცის დადება,  
მოყვასთა შველა, დახმარება, ხელის გაწვდენა,  
სამშობლოს ნახვა, შეყვარება, გულის ანთება, –  
მწამს ამ გრძნობისთვის თავდადება, სისხლის დანთხევა.

მწამს წელთა ბრუნვა, ისტორია და მღელვარება,  
მოძრაობაში საუკუნო ფორმა-ცვალება,  
ბრძოლა-ყიუინი, თაობათა გადაძახება,  
გარდაუვალი ესტაფეტა – გადაბარება.


მწამს ფსალმუნებში გარდასული სულის ნათება,  
უფლის ხატებთან სხივოსნური მისადაგება,  
წმინდანთა გვემა, ცოდვებისგან სულის განწმენდა, –  
გადარჩენისთვის სანთელივით მათი დაღვენთა.

წმინდა სამების უნმინდესი მადლის დაშვება,  
მონანიება – გარდასახვა, ფერისცვალება,  
უფლის შეცნობა, სინანულით თავის დადრეკა,  
მწამს მის საფლავთან ღვთაებრივი ცეცხლის ანთება!..

# ლოგისტი



მწამს ღალადისი, საუკუნო და დანანება,  
გრძნეულ სხეულის სამყოფელში ვნება-დათმენა,  
სულთა ზეიმი – ამ ჯოჯოხეთს როცა გასცდება  
და იმიერში საბოლოოდ გადაბარგდება...







## თუ ბედი ინებებს...

თუ ბედი ინებებს –  
იქნება მომლიმარი,  
ვიქნები, თუნდ, წყარო –  
მდელოზე მომდინარი;  
ხევში მოთარეშე,  
ქარებთან მორკინალი,  
ამაყი ირემი –  
მთით მთაზე მომყვირალი;  
კლდეზე დაღვენთილი  
ლვარცოფი – მოტირალი,  
ტბაში არეკლილი  
მთოვარი – მოცინარი.  
მთის წვერზე მზის სხივი –  
პირველი ათინათი,  
ჯიხვების სამყარო –  
ციცაბო-კალთიანი;  
სიო – აბეზარი,  
ბალახი – ცვარიანი,  
გვირილა, ლილილო, –  
პირიმზე – ვარდიანი;  
ფრინველთა ჟრიამულში





დილა – მაღვიძარი,  
ტოროლას საუფლო –  
ლაშვარდი ადრიანი, –  
ყვავილთა მგოსანი  
და ენა მადლიანი...  
თუ ბედი იქნება  
შემწე და მომლიმარი,  
ვიქნები, თუნდ, წყარო –  
მდელოზე მომდინარი.



## სული ქართველთა

რაც ჭირთათმენა, განსაცდელი გამოიარა,  
იყო დიდება – სახელოვან გმირთა – ქართველთა,  
დრომ, ქარტეხილმა, რაც სიმდიდრე შემოგვინახა,  
ვთქვი თაყვანცემა – დავიჩოქე ყველა ნანგრევთან.

დიდება ქართველს – დამარცხებას ვინც არ დანებდა,  
ვინც ლოცულობდა, ცივ ლოდებზე ღამეს ათევდა,  
სამართლიანი გამარჯვება ღმერთს შეავედრა, –  
იყო ხელმწიფე, დედოფალი – ღირსი ქართველთა.

ვინც ფსალმუნები გადმოწერა, გადმოათეთრა,  
ევნო, ენამა, – სამშობლოსათვის ვინც ჩაიფერფლა;  
ვინაც ქართული ანბანთქება ამოამლერა,  
იყო დიადი და პატივი არ შეიფერა.

მიმოდიოდა ხმელად, ველად, ზღვად – ფეხშიშველა,  
წმინდა გრძნობები – სიყვარულით ღმერთს შეაფერა;  
ქვეყნიერებას განსაცდელში სული ჩაჰერა,  
წაიღო ტაოს – უდაბნოში ცას შეაკედლა.

სამშობლოსათვის თავდადება ვინც დაისახა,  
უხმო წმინდანებს და პირჯვარი გარდაისახა;  
ვინც გასაჭირში ძმად გვიგულა და გაისარჯა,  
გააპო გული საქართველო შიგ ჩაისახლა.

# ლუზენბი

ვინც საფუძველი განამტკიცა და აღაშენა,  
ყარიბობაში წმინდა ძვლები ვინც შეასვენა,  
განძთა ქვეყანას ხელი ახლო და მოეფერა,  
ვინც მტერი იცნო – მოღალატე და შეაჩვენა.

უამი რეკავს და აზანზარებს ცოცხლებსაც, მკვდრებსაც,  
უნდა ახსოვდეს ყველა დროში ერსაც და ბერსაც,  
მათი დიდება დააკნინოს – არ უშვებს ზენა,  
სისხლით ნაწერი სტრიქონები არასდროს ქრება.






## პოეტი – პოეტს


ამ ეკლიან ჭაუხებში  
საუკუნე ვიარე,  
ალბათ, კარგად შეამჩნევდი  
პირდაღებულ იარებს,  
შეამჩნევდი ჩემს ხომალდზე  
ჩამოფლეთილ იალენებს;  
ვიცი, ფიქრობ, დანანებით,  
თავი რით გავიტანე...  
ახლა, როცა ზურგის ქარი  
არხეინად რიალებს,  
თანამგზავრნი რატომ გავხდით,  
უკვირს ადამიანებს...  
ეს ხატება, შენ რომ გახლავს,  
ვატყობ, გულს დამიამებს...  
მაინც ვფიქრობ, სინანულით,  
ცოტა დაიგვიანე,  
ჩემს ბალებზე მძიმე ჯვარით  
როცა გადაიარე...





## სევდის აგელოზი

შენი სუსტი მხრები, ნაზი სილუეტი,  
დილაადრიანად, სასაფლაოს კვეთავს...  
როგორც ლანდი ქვებში, თვალთა სახოვანი  
მოგაცილებს ხშირად, ვაჟი ახოვანი.  
მაგრამ! – მოჩვენება სიზმარივით ქრება,  
სასაფლაოს კართან თქვენი გზები წყდება...  
მწვანე, როგორც ტბაში დალურჯული ზეცა,  
თვალებს ეფინება დიდი სიღრმეები,  
უსაზღვროა დარდი, უსაზღვროა სევდა, –  
თქვენი ერთად ყოფნა არ ინება ღმერთმა...  
როდის, როგორ, რისთვის? – ჩაიხლართა ბედი...  
იქნებ? – თქვენს სიცილში ეშმას ჩაეღიმა,  
იქნებ? – ანგელოზსაც დუმძიმდა ფრთები, –  
დაღლილს, თქვენს მკლავებთან მასაც ჩაეძინა...  
...ახლა გიხმობს, გიწვევს საცეკვაოდ, ფრენად,  
შენც გაუღე კარი კარჩაკეტილ სენაკს;  
დაუჯერე, ისევ, უფაქიზეს სმენას,  
მოიშორე ცრემლი, დაიოკე ღელვა...  
შენს უძირო თვალებს, სიღრმეების ელვას,  
გადააქცევს ფერი ულამაზეს ფრესკად.



## ავი სიზმარი

სიზმარი ვნახე, მიწას ჰქონდა შავი ბზარები,  
ბზარნი განიხვენ და დაიძრა მთა ვულკანებით.  
ვერ მოვასწარი სულის მოთქმა, ვერცა ყვირილი,  
თავს წამომადგა შავი ტალღა ავი ყივილით...  
არ ვიცი როდის... ცამ ლუბელი გადაიყარა –  
მე ორი ქვეყნის გასაყართან ვიდექ კარებში  
და მოწყალებას ლურჯი ფრთებით დავატარებდი...  
სათუთი ხელით მივეახლე ყველა იარას,  
ცად-ალრენილი დავამშვიდე შავი ტალღები,  
საკუთარ თვალში არეკლილი მზის სხივით ვმოსე,  
ნარინჯისფერი გარდავსახე ცისფერ ზვავებად,  
გადავაფინე მთის ჭრილობებს ლურჯი სტავრები,  
კვლავ დავამსგავსე დედამიწა ცისფერ პლანეტას...



## თუ მასშის შენი...

მე მესმის შენი, პოეზიავ, განა არ მესმის?  
შენ უნდა ხსნიდე ჯოჯოხეთის დახშულ დარაბებს;  
მზის ბილიკებით ეშვებოდე სულის სარკმლამდე  
და ბრილიანტებს, ალაგ-ალაგ, გზა-გზა ფანტავდე, –  
რადგან უყვარხარ, გამორჩევით, სულით ლამაზებს...  
მაგრამ განგებით... უფრო ხშირად ყულფებს ამზადებ  
და მასში აქსოვ, შიგადაშიგ ოქროს ქარაგმებს...  
როცა სათავე ამოხეთქავს უკვდავ წყაროებს,  
მაშინ რითმები ქარაგმებში სიბრძნეს აქსოვენ,  
მაგრამ! ვაი რომ, არ იყენებს ამგვარ საზრდოებს, –  
ავაზაკები შენს დიდებას აღარ სწყალობენ...  
ვაი, რა ცუდად იხარჯება ოქრო-მარაგი,  
ვერ შეაძრნუნებს, ვერ შეალლობს ავ კაცს ქადაგი;  
ვით უსაზმნოა წყალთა შინა ხმა და ღაღადი,  
კედელთა ზედა შეაყარო ბარდა მარცვალი...



## ღვთაეპრივი განაცესი

ბოლომდე უშვებს ზვირთებში აფრას,  
ვიღაც ქარიშხალს თავის ბედს ანდობს,  
ამღვრულ ზღვაში ჩააწებს კალამს –  
და ამ გრძნობების სილალეს ამკობს!..

ვიღაცა სასმისს ბოლომდე შესვამს,  
ამოუდგება მხარში ტიტანებს,  
მერე, შედგება მონასტრის ბერად,  
დაემხობა და მწარედ ინანებს.

ვიღაც განგებამ დაბადა ნიჭით,  
მას განდიდების მანია ხიბლავს,  
მორგებულ ნილბებს მალიმალ იცვლის  
და ამისათვის ყველაფერს სწირავს.

ვიღაცა მიზნებს ქარ-ცეცხლში აწრთობს,  
მის ნაპერწკლებში იმედებს ჩარხავს,  
ბობოქარ ვნებებს არასდროს ახშობს  
და საბოლოოდ კოცონი დასწვავს.

ვიღაცა კარებს ძალუმად ამტვრევს,  
თავის ტაქტიკას არასდროს არ ცვლის,  
არადა იცის... გზადაგზა დასდევს,  
გვერდიდან ვიღაც გასაღებს აწვდის...

## მუზები

ვერავინ უხშობს მგზნებარე სწრაფვას,  
ვიღაც ვერ იტანს ცხოვრებას მდორეს,  
დაედევნება ცხოვრების ტრამალს  
და არ ჩაჰყვება არასდროს მორევს.

როს, აფროდიტეს ლიმილი დასწვავს,  
ვიღაც ერთბაშად ყველაფერს კარგავს,  
მერე სიგიჟეს – სიყვარულს არქმევს,  
რადგან მიიჩნევს დანარჩენს ფარსად.

არ ესირცხვება, ყოველდღე ვაჭრობს,  
ვიღაცა გრძნობებს იაფად ყიდის,  
მერე ამისთვის სასტიკად ნანობს  
და საბოლოოდ უფალთან მიდის.

ვიღაც სიკეთეს ვალებად იხდის,  
თავის წესს მუდამ მტკიცედ მიჰყვება,  
გზადაგზა ჩრდილში არასდროს იცდის  
და არ აპირებს უკან მიხედვას.

ვიღაცა დადის სოფელში წყნარად,  
ეძებს – უჩუმრად აგროვებს ლალას,  
იღწვის, ახამებს ფერების გამას  
და ისტორიულ ტილოებს ქარგავს.



ვიღაც სივრცეებს თაღებში აქცევს,  
გაფანტულ სხივებს დაშლის ფერებად,  
ერთ მშვენიერ დღეს, მოხატავს ტაძრებს  
და გარდასახავს ლამაზ ფრესკებად.

ვიღაცა გრძნობებს აგროვებს სათუთს  
და არ აწუხებს ცხოვრების ღელვა,  
ამქვეყნიური სიამე არ სურს,  
ის სხვა სამყაროს აქებს და ხედავს.

ვისაც უბოძა ცხოვრებამ განძი,  
ძეირფას საუნჯეს გულგრილად ფანტავს,  
ვიღაცა ცეცხლშიც უვნებლად გადის,  
ვიღაც თავის თავს არასდროს კარგავს!..




## ათას ცლის შემდეგ

ერთხელ, ზმანებამ  
საკვირველი რამ დამანახა,  
ათას წლის შემდეგ  
ჩემს ქალაქზე გადამატარა;  
დრომ, ბუნდოვანმა,  
ბარიერი ისე აღმართა,  
მე ვერ ვიცანი  
ჩემი სახლი – ჩემი ფანჯარა;  
ვერ დავინახე  
გალებული ერთი დარაბაც –  
და დავყურებდი  
უხმო ქალაქს, ნგრეულს – არარას...  
გაქვავებულმა,  
ხორკლიანმა, უწყლოდ გამშრალმა  
მიწამ და მდელომ  
უიმედოდ შემომლადადა...  
მაშინ რომ, თვალმა  
გამომშრალმა, ცრემლი დალვარა,  
მაშინ რომ, სევდამ  
ნამუსრევმა, სული დალარა,  
მაშინ რომ, გული  
საუკუნო განცდამ დალახვრა,  
რაც მიკარნახა,  
შთამაგონა სიმმა ჩამწყდარმა,



ვთქვი: ეს ქუჩები,  
ეს ქალაქი ჩემსას არა ჰგავს...  
სანამ ტკივილი,  
უსაძლისო, გულმა ატარა,  
სანამ ცრემლებმა,  
მადლიანმა, მიწა დანაშა,  
გადაირბინა,  
კიდევ ერთხელ, წელმა ათასმა –  
მიძინებულმა  
გაიღვიძა მწვანე საფარმა, –  
ვთქვი: მე დავბრუნდი! –  
დაუბრუნდა მიწას სიცოცხლე  
და დავიჩოქე  
თავდახრილმა თოთო ბალახთან...





## ეპოქა


გალაკტიონ ტაბიძის „გრიგალის“ გამო

დუღდა საუკუნე, ზღვა და გაორება,  
გლეჯდა ჩამწყდარ სიმებს ქარი და გოდება,  
ნავი ქანაობდა გრიგალთ დანებებით,  
იდგა გოლიათი ლურჯი ზმანებებით.

ნაცნობი ხმაური – ველური ყიფინით,  
გზები სისხლიანი – ეკლით და კივილით;  
ჩამქვდარ ოცნებათა სივრცის დამონება  
ახშობს გენიოსის ფაქიზ აზროვნებას.

ფრთები? – დემონური, შავი, უსახური,  
ლაჟვარდს რომ ედება ფერით ჩაკირული,  
აზრში გაყინული ხავსთა დატბორება,  
გამჭვარ ყვავილების ქვათა დამონება.

კარი დახშულია, ხმაურობს გრიგალი,  
ტახტის ნამსხვრევებზე მძვინვარებს მირკალი,  
სადაც ქანდაკებებს ფიქრი ეკრძალებათ,  
ლანდები ტრიბუნებზე ერთმანეთს ენაცვლება.




ასეთი საუკუნე მიჯნათა კუნძულია,  
გონება ვეღარ სწვდება, გონება უძლურია...  
ვიღაცა კოცონზე სიცოცხლეს ამთავრებს,  
უგნურთა ბრძოები ყრილობებს მართავენ.

მზე დაკორტნილი, სისხლისფერი – სხვაგვარად ღვივის,  
ოკეანებს მოსდებია სილურჯის შიში,  
ცეცხლის ნაზავზე ანთებული გრიგალი იწვის,  
ჩუმად ხმაურობს პოეზია და ღალადისი...

დგას ხომალდებთან – დაწეწილი ამაოება,  
ზღვა კვლავ იბრუნებს დანაპირებ განმარტოებას,  
სული, დახშული სარქმელიდან ცად იმზირება,  
დახავსებული მორევები კვლავ იწმინდება.

ბედის მშვილდებმა ქარიშხლებით რაც იავქარეს,  
დრო, სიავესთან წილნაყარი, კვლავ იავარქმნეს,  
ჰორიზონტები – გალურსმული თეთრ იალქანზე, –  
თუ დაუბრუნებს ჩვენს ცხოვრებას აზრს, სიამაყეს...




## სიკეთის მარცვალი

ადამიანი დაეძებს რასაც,  
მავედრებელი მოითხოვს რასაც, –  
არ არის მხოლოდ ნივთი ბრჭყვიალა,  
ანდა, ძვირფასი ოქრო და ლალი.

ჩვენ არც კი ვიცით, ზოგჯერ, რას ითხოვს,  
ან რისთვის არის ის დამაშვრალი...  
რა უბრალოა – არადა, თითქოს,  
სიკეთის თესო ხნულში მარცვალი...

ვის აღმოხდების, ან ვინ მიაგოს  
საჭირო სიტყვა? – ვით უფლის განძი;  
ვინ არის იგი – ის მადლიანი,  
ვისთვის იღება სამოთხის კარი...





## ცას შესევია ავი კალია

ბოროტის გული ცრუ და ხარბია,  
შორით მოსულის მზერა შავია...  
ცას შესევია ავი კალია,  
მძიმე თავთავებს თავი ჩახრიათ...  
სულს რაც წმინდათა-წმინდა აჩნია,  
რაც ოდითგანვე ჩემი ხატია,  
ის, რაც მებოძა და მაბადია,  
სისხლით დავიცვა, ჩემი ვალია...  
ცას შესევია ავი კალია,  
შორით მოსულის მზერა შავია...  
ახლა სამკალი თავზე მაყრია...

## სიცოცხლე ადიდა

ხემ ფოთლები ჩამოიბერტყა  
– განა ატირდა,  
ალისფერი კვირტებით სავსე  
ტოტები ზეცას მიაპყრო  
– სიცოცხლე ადიდა!..



## მე არ ვარ შარლი...

საუბედუროდ, დავიჯერე დიდი ხანია,  
 რომ ბოროტება დასაბამით  
 მძვინვარებს – მეფობს, –  
 მას შემდეგ... რაც თქვენ  
 აღმერთებდით  
 ავადმყოფ ნერონს.  
 კაცთა სიგიჟე, უვიცობა განა ცხრებოდა –  
 ემატებოდა უგნურება უთვალავთ რიგებს...  
 გიბნელდებოდათ, გერეოდათ გონება ისე,  
 ვერ შეიცანით,  
 გოლგოთაზე აწამეთ ქრისტე...  
 აგერ, სულ ახლო ისტორია –  
 გვაოგნებს ისევ:  
 „თქვენ“ ტაშს უკრავდით –  
 აქეზებდით  
 სისხლისმსმელ – ჰიტლერს  
 (თუმცა დაამხეთ – ბრბოს თვისებებს  
 ამართლებთ ისევ!).  
 ტრაფარეტები, ლოზუნგები  
 ისევ შავია,  
 კვლავ მკრეხელური მუქი ბინდი  
 თვალებს აკვრია;  
 ნიღაბი ფარავს ფარისევლურ დემოკრატიას,  
 სიტყვის უფლებას გესლს აყოლებთ

და... გიხარიათ?..

დღეს, სამწუხაროდ, სამართალი

სიძვის ქალია,

„პროგრესულობა“ ჯაჭვებს კვერავს

დიდი ხანია;

სამიზნე ნიშანს თუ არ ესვრი

ისარს შხამიანს,

სამსხვერპლოდ! – სისხლი რად იღვრება,

საკითხავია!..

თუ სიძულვილი კაცთა მოდგმას

კვლავ გააბრუებს,

უგუნურება ნათელ ზეცას

თუ დაამუქებს, –

საბედისწერო ისტორია

ჩარხს დააბრუნებს,

და დაგვანახებს!.. მთავარ სათქმელს –

ის დაასრულებს!..





## კარის მფარველი

ხათუნა ნიშნიანიძეს

მზეგაფერილი, კოლხური სისხლი  
შემოუნახავს შენს ზღვისფერ თვალებს,  
შენს ნატიფ მზერას, ჩამოთლილ მკლავებს,  
შენს მიხვრა-მოხვრას და სინარნარეს.

მაშინაც, ახლაც, თეთრი მანდილით  
ლენა – მშვიდობა შენ დაამყარე,  
შენ მოუტანე ოჯახს ბარაქა,  
და ეს ქვეყანაც შენ ააყვავე.

მონიჭებული ღვთიური მადლით,  
მიესათუთე მამულს, ვენახებს,  
გადაეფარე მცველად კერიას,  
როგორც სჩვეოდათ წინათ ვაჟკაცებს.

მე დაგილოცავ იმ შენს კერიას,  
ვაჟებს და ქალებს – ოქროსთმიანებს,  
მადლიან ცრემლებს, სიცოცხლის ხალისს, –  
ვინც დაიფიცებს შენს მზისფერ თვალებს.



## ვაი, რა ცუდად დაგვჩემდა

სიცრუე – სულისკვეთებად,  
ტვინში ღალატის გავლება,  
გულებში ლოდი შავფერა,  
შუბლებზე ტყავი რვაფენა,  
ავთა საქმეთა ჩადენა  
და ამით თავის დარჩენა...  
ლაზლანდარობა, ლაყბობა,  
ლვარძლი და გაუტანლობა,  
ძალაზედ თვალის დავსება,  
ვაი, რა ცუდად დაგვჩემდა...




## ასელოვანი ცაცხვის ხე

ჩემს ერთობებ  
საუკუნის  
დიდი ცაცხვი ჰყვავის,  
მის ფოთლებში შრიალია  
ზურმუხტის და ქარვის;  
საკურნებლად სნეულთათვის,  
ზენაარსის მადლით,  
თიბათვეში გამოაჩენს  
ამარტისფერ ყვავილს.  
როს მის მკერდში დაირხევა  
ანცი ნიავქარი,  
ამოაფრქვევს სურნელებას  
და მინდვრებზე გაშლის, –  
ცაცხვი ფუტყარს – მოფუსფუსეს,  
ღვთის მოსავალს აწვდის;  
ქრისტეშობას, ზამთრის სუსხი,  
როცა ტანში გასცრის, –  
მაღალ უფალს შეავედრებს  
კვირტებს – ცაში აწვდილს;  
იანვარში, შესუდრული,  
სიზმრებს თეთრად აშლის,  
ო, რამდენის მოწამეა  
საუკუნის ცაცხვი...  
ამ მიდამოს ისე შვენის –



ვით ფოლადის თვალი  
(მენანება, მის სიმდიდრეს –  
ვერ აფასებს ხალხი).  
ვინმე თუ არ გამოჩინდება  
კაცი მუხანათი,  
კიდევ დიდხანს იშრიალებს  
ასწლოვანი ცაცხვი.







## სირცხვილი ჰალათებს!..

1942 წლის 6 აგვისტოს, ფაშისტებმა ტრებლინსკის საკონცენტრაციო ბანაკში გაზის კამერაში გაგუდეს 200 ბავშვი. მათთან ერთად დაიღუპა მათი აღმზრდელი – იანოშ კორჩაკი (ცნობილი მწერალი, ექიმი და საზ. მოლვანე), რომელსაც შანსი ჰქონდა გადარჩენილყო, მაგრამ თავისი აღსაზრდელები განსაცდელში არ მიატოვა და გაზის კამერაში თავად შეუძლვა...

ყველა იმედი ამოიწურა...  
 ყველა ნუგეში, ყველა სათქმელი...  
 აქ, სამართალი მკვდარი ლეშია,  
 დატორილია ვეფხვის ბრჭყალებით, –  
 ვაგონებს ცლიან ტრებლინსკის ოლქში,  
 დამწკრივებული მოჰყავთ ბავშვები...  
 ახლა, მათ სულში, ნეტა, რა ხდება,  
 საით მიიწევს მათ აზრები?..  
 (ფეხს აუჩქარეთ!.. ნუ იზღაზნებით –  
 დროდადრო უღრენს მათ ჯალათები...)  
 უღვთოდ წამებულთ, შეყინულ გზაზე,  
 წინ მიუძღვებათ მათი აღმზრდელი,  
 მათ ანგელოზთა გუნდი მფარველობს  
 სულთა ცხონებით – ცად ამაღლებით...  
 (ბანაკის ახლოს, სისხლიან ღობეს  
 ჩამოსჩავიან შავი ყორნები,  
 ფეხს აუჩქარეთ, ფეხს აუჩქარეთ! –  
 კვლავ დასძახიან მათ ჯალათები...)



...და მაინც... იმედი მათ გულებს ამაგრებს,  
პატარა თითები ზეცისკენ აღაპყრეს,  
„სათუთი ხელიდან“ სიკეთეს ელიან...  
კარნავალს, გართობას, ტკბილეულს ელიან –  
ასეთი დღეები, რა, – განა ბევრი აქვთ ?  
ცეკვავენ ბავშვები... ცეკვავენ, მღერიან...  
(სასტიკი სიკვდილი? – უმანკო ბავშვების –  
ვის ტვინში მომწიფდა ამგვარი სასჯელი...)  
ითვლიან... ითვლიან... პატარა არსებებს,  
უმანკო ღიმილი „მათ“ ვერ შეაჩერებს!  
მსოფლიოს სასტიკი სიმართლე აჩვენეს, –  
უმწეო ბავშვების სიცოცხლე აღკვეთეს!...  
სამყარო და უამი ივიწყებს? – არაფერს!  
ჰყვებიან, მას შემდეგ, ლეგენდებს, არაკებს,  
კორჩაკის გმირობა? – რამდენ გულს აანთებს!  
ღირსებამ აჯობა სიკვდილის მანქანებს –  
სირცხვილი!..  
სირცხვილი!..  
სირცხვილი!..  
ჯალათებს!..




## გაზაფხული მოგილოცა დედა

როცა მთებზე თოვლი დნობას იწყებს,  
ნაკადული ააქლერებს ჩქერებს,  
მარტი გაშლის აელვებულ კვირტებს, –  
ჩამოუვლის გზებზე გამდგარ ტყემლებს.

ყოჩივარდა თავს დაუხრის იელს,  
ვაზის ლერწი ვერ იკავებს ცრემლებს,  
სადღაც ჩიტი ჩამოსჭყივლებს შვილებს,  
გადაუვლის ურუანტელი ველებს.

ცისარტყელა ტყეს შემოხვევს ხელებს,  
თვალს აუხელს ჭრელაჭრულა ფერებს;  
გადმოაფენს ზურმუხტისფერ ფარდებს, –  
დედამიწაც გახსნის გულის კარებს.

ეს ფუსფუსი – სიყვარულის ენა  
აამღერებს ცისთვალას და ქედანს;  
მეც ავკინძე ერთი იის შეკვრა –  
გაზაფხული მოგილოცე, დედა.



## გრიგალი შეცვლის ჩვეულ განედებს

სანამ სიკვდილი – ჩაგვავლებს ბრჭყალებს,  
შევქმნით და დავდებთ ჩვენს ისტორიას,  
ყველა ჩვენგანი თავის წიგნს დაწერს  
და დავასრულებთ ამ მისტერიას.

აქ – ჩვენს ადგილას – მოვლიან სხვები,  
გადაფურცლავენ წიგნებს – ნაკალმებს,  
გადახედავენ ყასიდ სტრიქონებს  
და ამოშლიან ცრუს და ნაყალბევს.

წლები ეპოქებს დააფარდაგებს,  
დაიზნიქება სამყაროს ხიდი,  
გაიხსენებენ ყველა ნასაქმევს,  
რასაც უსულოდ – გულგრილად ვქმნიდით.

გრიგალი შეცვლის ჩვეულ განედებს,  
ამოიხვევა გორგალის წვერი,  
დააფასებენ რჩეულ პწკარედებს,  
ხანდახან, სისხლის წვეთით რომ ვწერდით.

გაიხსენებენ, უღვთო მანევრებს –  
როცა ჩვენს წიგნებს ვწერდით და ვქმნიდით,  
დაასადაგებს – ყველაფერს იტყვის,  
გულდაგულ ვინაც – ნაბიჯებს ითვლის.

## პარმუხა

მზე, დაღლილი გადასცდება კბოდეს,  
გადაირბენს დღე – მტანჯველი ფიქრის,  
ცას მიუშვერ სიბნელეში ტოტებს,  
ვარსკვლავები დაიწყებენ ზიმზიმს  
და ლოცულობ, გოლიათო, რისთვის?..  
ხომ ასეა? – გადარჩენა გინდა,  
ცერცვისტოლა – პანაწინა კვირტის...




\* \* \*

არ მიყვარს ადამიანი,  
ცას არ შეჰეარის მზიანსა,  
სიკეთის ფესვებს არ იდგამს  
საჯიშეს და მადლიანსა,  
არ იმკის იმის მოსავალს –  
კალთა ხვავ-ბარაქიანსა.  
არ ხარობს მოყვას-მეგობრით,  
გულის არ გახსნის რაზასა,  
გზაზე გამდგარი მგზავრისთვის  
არ იტყვის კეთილ სალამსა;  
სამშობლო ზეცის სილურჯეს  
დაახურდავებს ფარადა,  
სხვისი სიკეთის მნახველი,  
დაითხრის ორთავ თვალასა;  
არ უფრთხილდება თავისას –  
ენას იმტკიცებს სხვისასა,  
არ მადლობს ადამიანებს  
სიკეთისა და ღვთისასა.

## მზეა დაკარგული


ახლა, ამ ქალაქში, მზეა დაკარგული,  
 აღარ ასხივოსნებს მზერა აღმასური,  
 ახლა მოდაშია სიტყვა – გადაკრული,  
 ყალბი გაღიმება, აზრი – გაფანტული,  
 ვაჟთა მიხვრა-მოხვრა – ცოტა აღმაზური,  
 სახე თოჯინური – რიდე გაძარცვული...  
 თბილისი დაუპყვრია მორიგ სულთამბუთავს,  
 ბეჭონის ქალაქი, არა! – ხელოვნებას.  
 ქალაქს რომ ვაოხრებთ, არავინ გვედავება,  
 აქ ხომ მთავარია ყალბი რიტორიკა, –  
 არა ჰარმონია, არქიტექტონიკა...  
 ქალაქი აივსო მოძრავი რკინებით,  
 ვითომ სიცოცხლეა, ვითომ მოტორიკა;  
 მიქრიან, მოქრიან – არის უძრაობა,  
 ამდენი ტაძარია და მაინც უმეცრება...  
 სირეგვნემ უმაღლეს ნიშნულს მიაღწია,  
 ჭკვიანს და გენიოსს გიუი ასამართლებს,  
 ყრია სიგიუშიც – რაღაც მომხიბვლელი,  
 ვიღაცა მიმხვდარა და კიდეც გენიოსობს –  
 სადღაც კულისებში ეშმას უხარია,  
 „ძვირი ბედაური“ გიუს რომ დააქანებს...  
 ჰზარავს აბსტრაქციას სახე – თოჯინების,  
 არა მოდერნიზმის – უფრო გაწბილების,  
 მაგრამ... სად წავიდა ფიცხი ენერგია,

სულის ამბოხება – ბრძოლა, ქარტეხილი.  
 ვიღაცა ვიღაცას კიდევაც დასცინის,  
 იუმორს აკლია მანერა არტისტული;  
 თავისთვის ფაფხურობს, მუცელზე იჭაჭება,  
 ფულებზე დათვლილი სიცილი – სატირული.  
 კანკალებს სხეულზე სისუსტე კუნთების,  
 რეფლექსთა სიჩლუნგე – სრული შენელება;  
 ჰყიდიან ყველაფერს – ვის რა ეხერხება, –  
 იაფი საწამლავი – ყრია სადაც გნებავთ.  
 ასე ცალი-ცალზე როა დაშტამპული,  
 კაბა დაფლეთილი, ჯინსი დაკონკილი,  
 სულაც არ მგონია უამის დასასრული,  
 მე რა მენაღვლება? – გული გამოღრღნილი.  
 ამდენმა „მეშჩანობამ“ ვიღაცა გაამწარა,  
 საკუთარ ვარსკვლავზე უარი განაცხადა,  
 სასოწარკვეთილი ყვირის გარდაცვლილიც –  
 სული მეხუთება, არ მინდა პანთეონი.  
 ვიღაცამ, ჩემსავით, თავი გამოიდო,  
 გაჰყვირის: დრო არის! – დაიწყეთ დემონტაჟი,  
 წესრიგი, სიმშვიდე – ხალხი არეული –  
 თბილისი გაიტანეთ, წაიღეთ მარნეულში...  
 (იქნება, მართალია – ცოტა მეშინია...)  
 ახლა, რექვიემი ყველაფერს ამართლებს,  
 მაგრამ მუსიკა აქ რა შუაშია?  
 სიმები ბაძავენ – აკორდებს აბამენ,  
 როცა სახეზეა სრული დეკადანსი...




ვფიქრობ... ვის მივმართო, ვისთან ვისაუბრო,  
ქალაქი ჩაუნთქავს მხრიოლავ ამბიციას,  
ვითომ? – აზროვნებამ ფარ-ხმალი დაყარა? –  
ნეტავ, რა უშველის ამგვარ აგონიას.  
ვიღაცა უმწიფარს ასე არ ჰეონია,  
ვიღაცა გაპყვირის – ეს თქვენ არ გეხებათ,  
მთავარი – გართობა, თვალის სეირია,  
შეცვალო სამყარო – ეს არ გამოგივათ...

... ახლა თბილისის ცა ისე მეფერება,  
ცრემლის ნაპერწკლებზე სხივი გამიბრწყინდა,  
ჭადრის ხეივნები მშვიდად მეგებება,  
სიო ფოთლებიდან სულში ჩამიფრინდა,  
თითქოს დამიბრუნდა საღი მეტყველება,  
ღია ჭრილობები თითქოს დამიმშვიდდა...




## აპრილია

აპრილია, რია-რია დაფარფატობს ქარი,  
ჩემს ეზოში ლიმონის ხემ გადაპენტა ბალი;  
სურნელება ჩაეღვარა მონარნარე ხმაში –  
საღერლელი აეშალა – აჭიკიკიდა შაშვი.  
ბეგონიამ დაიზამთრა, იჭყიტება კარში,  
მზეზე ბრწყინავს, ტუჩებს ბერავს, ხერხისკბილა სალბი;  
კამელია – ვით ლამაზი – იპრანჭება ქალი,  
ტოლს არ უდებს ბიზბიზელა – იმზირება ცაში;  
პეტუნიებს დახრილი აქვთ სიმორცხვისგან თავი,  
კალათებით დატვირთულა თეთრი სანტოლანი.  
ია-იას სიო არხევს ნაზი და ნარნარი,  
მაჩიტებმა გადმოკიდეს თეთრი ზანზალაკი,  
უკადრისაც გაიქოჩია – ინა ბალზამანი.  
ირინეზამ რა ხანია ვერ გაშალა ფრანი,  
ძლივსძლივობით მირაბელამ გაახილა თვალი;  
დაწინწკლული ადონისი – სისხლისფერად ყვავის,  
კონკიძველამ გადმოფინა ლურჯი მოსასხამი;  
ყელყელაობს ზამბახები ურიცხვ ფერთა გამით,  
შროშანები ამაყობენ ძველი კელტთა გვარით;  
ხავერდულამ ხავერდები დააფინა გზაში,  
ენოთერამ გამაკვირვა – სიგიჟე აქვს ღამის;  
ცინარეამ გააპრწყინა თეთრი მინანქარი,  
კორდიელა თავს იწონებს ძალზე ჭრელი კაბით;  
აპრილია, ყვავილები – ნაირფერი ყვავის,  
ჩემს ეზოში, რია-რია – დაფარფაშობს ქარი...




## ჩირალდით ხელში

ჭეშმარიტებას ვერ აუგებ  
შესაფერ ტაძარს,  
ვერ გაუმართავ თვალთა მზერას  
მის ბრწყინვალებას;  
ვერ გაუზომავ საწყაულით  
უმართავ ძალას,  
და ვერ მოირგებ ძალისხმევით  
მის დიადემას...  
ჭეშმარიტება ძვირფასია  
და ერთადერთი, –  
შეიცნო კაცმა – ნათელია  
წყვდიადის – ბნელის...  
აღოღებული, წუთისოფლის  
ჭრიალა ეტლით,  
დაეძებს გზა-გზა ანთებული  
ჩირალდით ხელში...



## მზეშაპუკი

ამ დედამიწას, ეს მზეჭაბუკი,  
როგორც ყვავილი, ისე ამკობდა,  
ბოროტ ზვავობას, ვნებას და ღალატს,  
ცილსა და ზაკვას იგი არ ფლობდა.  
ის დადიოდა ფრთხილად, მსუბუქად  
და ზეციური ფრთები დაჰპერნდა;  
ბოლმას და ტკივილს, გაუტანლობას,  
ვით ხორციელი, ისე არ გრძნობდა;  
სხივდაფენილი მისი თვალთამზე,  
მზერას და ლიმილს ოქროდ ალლობდა.  
სძლევდა ნირვანა და გარინდება,  
ნერგილეს კვამლში ფიქრებს ართობდა...  
სურდა თუ არა წუთისოფელი,  
ამას სიტყვებით ის არ ამბობდა...  
ის მიაგავდა არამიწიერს  
და ზეციური ფრთები დაჰპერნდა,  
სამყაროს მზესთან იყო ახლოს და...  
ამქვეყნიური ვნება არ ჰქონდა...




## ქართველის მინდვრები

მაისის თვეში ქართველის მინდვრებს  
გულგრილად ვერ ჩაუვლი

მზე ჩაუწვნია თმებში ჰორიზონტს,  
ბროლი უბრწყინავს შორს კავკასიონს;  
ფუნჯი ჯადოსნურ საღებავს იშრობს, –  
ცას დედამიწა ნადიმად იხმობს...

ტბა დასდენია ზურმუხტს და ბისონს,  
გარდმოსახვია ზარქაში მინდორს,  
ვით, ზეციური ქმნილება – იკონს, –  
ეს მდელოები ყვავილებს იმკობს.



## მოვა თაობა

აქ, ამ ლექსებში  
ცარიელი რჩება აბზაცი,  
რაც გულმოდგინედ –  
ღირსეულად შევსებას ითხოვს...  
და იმ აზრებში  
არის კიდევ – რაღაც მთავარი,  
რაც, თავისთავად,  
სილამაზეს და სილრმეს იმკობს...  
გაივლის წლები,  
ღირსეული მოვა თაობა  
და... შეავსებენ –  
მთავარ სიტყვას დაამატებენ,  
სულს ჩაუდგამენ  
მშობელ მიწას, ტანჯულს – ნაომარს,  
ამ ჩვენს აზრებსაც  
ცხოვრებაში გაატარებენ.



## ქარავანი ცათა

არსად ემიჯვება  
გასაყარი გზათა,  
ქარავანი მიდის,  
გადაივლის აღმართს...  
ვერ შეამჩნევს თვალი,  
მიდის უხმოდ, წყნარად –  
დროს, დაცინვას, ღალატს  
არ უდგება კვალად.  
არსად ემიჯვება  
გასაყარი უამთა,  
მიდის, მშვიდად მიდის,  
ქარავანი ცათა...

## აჩის

მზემ სხივები დახარა,  
აჩის მიესალამა:  
თვალი გამოახილე,  
გაიღვიძე პატარავ,  
მინდა გულით მოგიძლვნა  
ყვავილების კალათა, –  
დედამ – მზის და მთვარისამ  
შენთან გამომატანა.





## გაზაფხულია

მესკია ჩიტი გარემოს იკლებს,  
გაზაფხულია, მარტი შლის კვირტებს,  
ტყემალი აფრქვევს თოვლივით ფიფქებს  
და ალამაზებს ონავარ ფიქრებს.

დააფრიალებს ყვავილის ფურცლებს,  
ხანდახან, ქარი გიჟივით უსტვენს,  
ხანდახან, ათბობს ნაზამთრალ სულებს, –  
ჩამოატარებს იების სურნელს.



## ნისლები

მდინარეებს მოჰყვებიან,  
ტყეს და მინდვრებს ამკობენ,  
ნება-ნება დაღოღავენ,  
თვალ-სეირებს აწყობენ.  
ალაგ, ღრუბლებს მისწვდებიან,  
ცის კიდეებს ავსებენ,  
გადაგრეხილ ლამაზ ქედებს  
მათ ალყებში ახვევენ.  
ალაგ, დაბლა ეშვებიან –  
ჩანჩქერებს დაადენენ  
და ჩქერებზე შიგადაშიგ  
ცისარტყელებს აფენენ.  
მდინარეებს დათელავენ,  
ხევებს არად აგდებენ,  
მათ ადგილას კუდმოგრეხილ  
თეთრ გველეშაპს აწვენენ,  
თვალხატულა ტყის დედოფალს  
თვალზე ცრემლებს ადენენ.  
ამწვანებულ ლამაზ ხედებს  
გააქრობენ – მალავენ,  
მთის კალთებზე ლაგდებიან,  
ალაგ-ალაგ ღარავენ,  
ხავერდოვან, გაშლილ ველებს



ხელმეორედ ქარგავენ –  
კოლხეთიდან თურქუს მთამდე  
ოკეანეს ფარავენ  
(აქ ვიპოვე ოდითგანვე  
ჩემი ფიქრის სავანეც).  
ზოგჯერ, მზესაც აბნელებენ,  
თვალ-ხელშუა აქრობენ,  
მის ნებაზე იქცევიან,  
არასოდეს ჩქარობენ, –  
აქ ნისლები მეფობენ  
და...  
სხვა კანონებს არ ცნობენ!..





## რეიტინგომანია

რეიტინგების – დირიქორობს მასას მანია,  
ეს რა სიშლეგე, დარდუბალა და სამსალია?  
ხალხის საკვებად გადაიქცა დადგმა – ფარსია, –  
სანახაობა, სისასტიკე და სენსაცია.

რა კარგად ცხვება ხმიადები – ერი, ნაცია –  
კონცენტრაციები – „NGO“-ებს – სულს რომ აკვრია,  
ფოლიანტები რა ხანია თხებმა დაფლითა –  
როკავს სიშიშვლე, უგნურება, ვაკხანალია.

აქ კულისებში რომ ხირხალი და გირგალია –  
ნადავლს ვერ იყოფს ორი ხროვა – ორი პარტია,  
იქ ხელებს იქნევს, ცეცხლებს აფრქვევს და „გრიგა(ო)ლია,“  
აქ აპურადებს, მასას აჭმევს ჭია – „მაია“.

გავერანება მიტოვებულ კერებს ატყვია,  
ჩვენს ეზოებსაც ეძალება ეკალ-ბარდია,  
სხვის უბეებში რას დაეძებთ – რა დაგვარგვიათ,  
ვაჲ, ქართველებო! რას „გვაჭმევენ“, რა გვიხარია?!.



\*\*\*

ბრძოლაში ნაწრთობს,  
ხმამ – დამ ტყუპისცალმა –  
ჰე... გულჩილობა შემომაპარა.  
ახლა... ხმა მიხმობს –  
გამძახის კარში  
„ახალი“ ქვეყნის  
დასალაშქრავად!..

## მზე ამონდა

მზე ამონდა დიდებული ამ დილით,  
ათინათით მწვანე თასი აავსო,  
გადმოსახა ჩემს ბალებში არილი,  
აზარფეშით დამიცალა ყაყაჩო,  
მერე ცაზე ცეცხლის ალი აანთო,  
ოქროს ზოდად გადაადნო სამყარო...

## ქვეპა-ქაგება


ქებას მოჰყვება ძაგება,  
დროს აღარ დაახანებსა,  
მითხარ! თუ ბრიყვი არა ხარ,  
ქება რად აგიტაცებსა?

\* \* \*

რაც გადამხდა და ვიხილე,  
ბუნდოვნად აღმიწერია,  
თუმცა მთავარი სათქმელი,  
ჯერაც არ დამიწერია...

## თუ, პოეტური რამ არის შენში

თუ, პოეტური რამ არის შენში:  
ხანდახან ენდე გრძნეულებას,  
გაჰყევი ბრმასაც,  
ან უსახელო მოჩვენებას შეახე ხელი...  
უკანასკნელი საგანძურის გაიღე ზვერი,  
სულმოუთქმელად გამოსცალე სასმისი ბედის, –  
ნუ შეგაშფოთებს შეწყვეტილი სიმღერა გედის;  
ვარდისფერ გზაზე შეამჩნიე სიმწვანე ველის,  
ჩამავალ მზეშიც შეიგრძენი სხივები მწველი.  
თუ პოეტური რამ არის შენში:  
გაჰყევი ტრამალს,  
პორიზონტებს შეავლე ხელი,  
ჩააქრე ვნება,  
კელაპტრები აანთე გზნების,  
უძირო ზღვიდან სიყვარულის აიღე წვეთი,  
გაუკვალავი, დახლართული დალაშქრე ტევრი.



## ორსახა მთვარე

მზემ გაუხუნა, ჩაუფერფლა  
მღიმარი სახე, –  
დამის კოშმარი აწვალებდა,  
ჭირვეულ მთვარეს;  
ცრემლს ვერ იშრობდა ჩამოცრეცილ –  
ჩაცვენილ ლაწვზე,  
ღრუბლის ფილებით იფარავდა  
მთელი დღე თვალებს, –  
გულგატეხილი, არეული  
და ეჭვით სავსე,  
ვით იანუსი, ფარფატებდა  
დაღარულ ცაზე.  
როცა დაღალა დედამიწა –  
გადაჰყვა თალებს,  
გადაინაცვლა – გადაბარგდა  
ლამეულ ნარზე,  
ცის დასალიერს გადააწვა  
ვწებიან მკლავზე,  
ნამგალა რკალით გადაცურდა –  
დაეშვა მთაზე,  
მზე-დალეული ცალი სახე





მიაყრდნო მასზე...  
ბოლოს აანთო კელაპტარი  
დამრეცილ ქანზე,  
გადაიფარა ცის სილურჯე  
ნალვლიან დარდზე –  
დაემშვიდობა გაოგნებულ,  
უკუნეთ ღამეს...



# მუზები

\*\*\*

შავი ტალღები მესტუმრა მთაშიც,  
ავი ზვირთები უკუნეთს ასწვდა,  
სადაც სიცოცხლის ყოველგვარ ჩქამში,  
მათი სიბნელე უწყალოდ ჩაწვა...

დროს დაუდევრად, ერთბაშად მოსწყდა  
სამყაროს ყველა სიმი და თრთოლვა,  
წამი გაჩერდა და მოძრაობა,  
მზე არ მზეობდა – და იყო გლოვა...

იდგა სიჩუმე გულქვა და კერპი,  
დღეს ურიამულის სული ამოხდა...  
დაატარებდნენ მახინჯი ფრთები  
იქ გამეფებულ არარაობას.




## ცუცხა

სად არის, ნეტა, პატარა გოგო,  
პატარა „ცუცნა“ – ის ციდა ბავშვი,  
როს შევიყვარე ალალად, წმინდად,  
ჩვენ დაგვაშორეს ერთმანეთს მაშინ...

გავიდა წლები... თოვდა თუ წვიმდა,  
მაგონდებოდა გოგონა ხშირად,  
ეს მონატრება არ გაიცრიცა, –  
წარსულის ლანდი სიზმრებად იქცა.


იქნებ მოვნახო, იქნებ, ვიპოვო  
გულჩათხრობილი, სუსტი და ნაზი,  
პატარა „ცუცნა“ – პატარა გოგო,  
ის დედისერთა – ნანატრი ბავშვი...





## არის ამგვარი

ხეში – სიცოცხლე,  
ქვაში – სიცოცხლე,  
დროში – სიცოცხლე –  
არის ამგვარიც,  
და უსაბამოც,  
მონიჭებული, მიწყივ,  
ს ი ც ო ც ხ ლ ე  
ბუნების მთავარ ხელოვნებაში...



## მზე ადიდდა

წუხელ მზე ადიდდა, აღელვდა,  
გალეკა – წაიღო ედემი,  
ვარსკვლავთა გროვები გადადნა –  
სამყარო აივსო ვნებებით...  
ბალებში ბალახი გადახმა –  
არ იყო სიცოცხლე ფერების...  
ზღვაც დადნა, სიბრაზემ ჩაყლაპა,  
არ იყო წვიმა და შხეფები...  
თითქოსდა, ნაპირიც არ იყო,  
არ იყო სუნთქვა და ეთერი...  
მერე, მზემ სიბნელე დაფანტა,  
ცის ფონი დაფარა მტრედებით,  
თალებზე მშვიდობა აღმართა,  
აღივსო სიწყნარე მშვენებით...






\* \* \*

მაშინაც კი, სანამ ევას  
გველი აცდუნებდა...  
და თვალს უხვევდა  
ჭრელაჭრულა ხვითო-ალმასით,  
დარიალობდა ედემს მიღმა  
შენი ხატება:  
ესახებოდა დედამიწას  
ჩრდილი სატანის...  
შენ აედევნე! – ადამიანს  
ურცხვად, გამცემად,  
მის შთამომავალს მოევლინე  
ცოდვად – დაცემად!..  
თუნდ მომავალში იყოს  
ურიცხვ კაცთა მრავლება –  
ამ დედამიწას, ამ პლანეტებს –  
გასცდეს სამყაროს,  
რომ არ დაეცეს, რომ არ წარწყმდეს,  
არ წაიბილნოს –  
უნდა ახსოვდეს ამაზრზენი  
შენი არსება!..




## თქვენი სცენარით არ თამაშობს მემატიანი

ჰეი, ბიჭებო, კლოუნებო, ტაკიმასხრებო!  
„დირიჟორების“ იმედებზე სულ ნუ იქნებით...  
თქვენს სცენარისტებს ბოლმა ახრჩობთ შურისძიების:  
ყალბ შეძახილებს ნუ ენდობით ბრავო-ბისებით...  
სხვისი კუდებით რომ დარბიხართ და იგრიხებით,  
თუ შეგიხედავთ სცენის მიღმა თქვენს კულისებში?..  
ხელებს რომ იქნევს სცენარისტი – მებაირალე –  
შემთხვევით ხომ არ მოგელანდათ მემატიანეც?..  
ის! დიდებული, დახვეწილი რეჟისორია,  
ის გაიაზრებს ყველა დეტალს, ყველა ანარეკლს,  
ის დაალაგებს ზედმიწევნით ქრონოლოგიას –  
და მომავალში სულ სხვა როლებს შემოგთავაზებთ!..  
ჩემო კარგებო, მანდამაინც, ნუ შეძრწუნდებით,  
თუ თქვენი ლელო, თქვენი ბურთი ვერ გაიტანეთ,  
ანდა, ბედ-ილბალს ხელალებით ნუ შეუწყრებით, –  
თქვენი სცენარით არ თამაშობს მემატიანე!..



\* \* \*

მე ვიცი კაცი, ჩუმი, წყნარი,  
გულჩათხრობილი,  
ბუნებით ზრდილი, ზედმიწევნით  
კეთილშობილი,  
ნიჭით და გონით გენიოსებს  
რომ შეშურდებათ...  
(მას თავის ნიჭზე წარმოდგენა  
სრულად არ ჰქონდა  
და მაკვირვებდა უცნაური  
თავდახრილობა).  
მეც, ზენა გრძნობით, ვკითხულობდი...  
ხანგამოშვებით,  
მრავალფეროვან, შთაგონებულ,  
ჯერარდაწერილ  
და ამაღლებულ  
მის პოეზიას...




## გმაღლობ, უფალო!

გადამატარე ქარიშხლები პატარა ტივით,  
შემომაცალე ბოროტება მახვილის პირით,  
მრუდე სარკეში დამიდგინე წესი და რიგი,  
მოყვასთან, ძმასთან დამიწესე კდემა და რიდი.

რაცა მწამლავდა, გულს მიღრნიდა – თან მდევდა ჩრდილი,  
ამაოება ცხოვრებისა, ზაფრი და შიში,  
გონების თვალი ამიხილე – მომმადლე ნიჭი,  
მომეც საძლისი, სიყვარულის ამიგე ხიდი.


ამ უკუნეთში მაპოვნინე იმედი დიდი;  
ციებ-ცხელებით გამოწვრთნილი, სათუთად ზრდილი  
მომეცი სიბრძნე, დამენახა ნათელი სხივი;  
უფალო გმადლობ, ამ ტანჯვაში ხელახლა ვიშვი.





## 30 35 30 პაცობად

განგეშორები, ვითარ კეთროვანს,  
ვერ ვცან საქმენი შენი კაცობად;  
ვერ აუკრძალე ვნებებს დაცხრომა,  
მოძმეს და კეთილს შენ არ დაზოგავ...  
არავის უსმენ, ვერავის ხედავ,  
ლამის გათელო სამყარო ფეხად;  
შენ, უწესობას ამკვიდრებ წესად,  
მე შენ მიცვნიხარ ბრიყვად და შლეგად!..



## ის და დემონი

როცა ზარები საუამნოს რეკლა,  
ის ნათლის ხატებს ბურუსში ხვევდა,  
ფრთები ფრთებს ლურჯი ზმანებით კვეცდა  
და ცისფერ გზებზე ეძებდა შველას.

დააბიჯებდა მძიმედ, ზვავობით,  
რადგან დიდება ფეხდაფეს სდევდა,  
მიუყვებოდა ლაჟვარდ ტატნობის  
აჩრდილი – აჩრდილს და აჩრდილს – ყველა.

არც პოეზიის დიადი სული,  
აღარც დემონი აღარ ცხრებოდა  
და გოლიათი პატარა ნუშით  
ამღვრეულ ტალღებს ეხეთქებოდა.

შერისხეს ჟამნი შეკვეცილ ფრთეთა,  
დიდება ლომის ქვას დაერეცა,  
რადგან გენიას დემონი კვეთდა,  
მათი საქმენიც ზღვას წაელეკა.




## თქვენი დროც მოვა

ბედოვლათებო! – თქვენი დროც მოვა,  
მოვა დრო, ოდეს, – დანაპირები  
და განა იცით? – რომელმა ვიცით...  
რა აქვს მას გულში ჩანაფიქრები?...  
იქნებ, მოწმეა ამ ჩვენი კრახის,  
გარდასულ დროის უტყვი გმირები,  
...ჰოდა ყველა თუ ალაპარაკდა,  
ვაი, თქვენ მაშინ...  
ვაი, თქვენ მაშინ!...




\* \* \*

ჩვენ ვწერთ... ვმუშაობთ,  
ვიღწვით და ვიბრძვით,  
მაგრამ ვიღაცას ბრძოლის უინის  
არა აქვს განცდა,  
ის მიუყვება თავის ბილიკს  
უხმოდ და წყნარად...  
შენ კი, რომელმაც დღე და ღამე  
არ იცი დაღლა,  
შეჩერდი წამით, გაიაზრე,  
ვინა ხარ, რა ხარ...  
შენ, შენს ადგილზე –  
ის, და სხვებიც,  
დაბადებისას –  
თანაზომიერ, კანონიერ –  
უფლისგან გაჩნდა...  
და ნუ იფიქრებ, რომ ნაბიჯებს  
თავისას ასცდა.



\* \* \*

გაივლის წლები, შეგვახვედრებს  
ერთმანეთს ზენა,  
თითქოს გულგრილად, ავაცილებთ  
ერთმანეთს მზერას...  
ის – მოფრთხიალე სინანული,  
მისწვდება სმენას  
და გავიგონებთ ერთმანეთის  
გულების ძგერას...  
აქ არ იქნება გულწრფელობა  
და დანანება –  
შეხორცებული აზროვნების  
დავყვებით ნებას, –  
ჩვენ ვერ გავუძლებთ აელვებულ  
ყაყაჩოს ცქერას...



## მედეას დაპრუნება

როგორც მარცვალი მიწის და ზეცის,  
ის ყველა ქალში არის და ღვივის.  
სწორედ ეს იყო განგება ბედის,  
მას ყველა ქალის არგუნეს ტვირთი...

როს ცისკარი გამოკრთება ცაზე,  
ღამის წყვდიადს მწვერვალები დაფლეთს,  
ჩაეშვება ბნელ ხევებში მძიმედ  
მოლივლივე ჩანჩქერები ნისლის;  
როცა ქარი ველ-მინდვრებზე გაფენს,  
კავკასიონს თეთრ ბურუსში გახვევს, –  
პონტოს ზღვაში აზვირთდება ტალღა  
და ფაზისში შეაცურებს აფრას.  
აქ ჩერდება აქოჩილი ტალღა,  
ოქროს ხომალდს მზის ქალღმერთი მართავს.  
მას სახეზე ცის ნათელი ახლავს, –  
რაც შეუთხზავს მითებსა და არაკს.  
ქალი იხმობს მოთარეშე ქარებს,  
აშლილ ფაფარს ჩამოუშლის ტალღებს,  
ცის მნათობთა მარგალიტის მძივებს  
მიმოაბნევს მოლივლივე წყალზე.  
დგას მედეა! – ცის ელვარებს თაღი  
და ბრწყინდება ჯადოსნური მხარე...  
ის დაბრუნდა!.. ვინც ღმერთებმა შექმნეს, –


## მუზები

მზის სხივისგან გამოკვეთეს ქალი.  
ამაყ კლდეებს ცის ცვარ-ნამი აწვიმს, –  
ეს მედეა მნარე ცრემლით ტირის;  
ლამაზ ველებს მზის სხივები ათბობს, –  
ეს მედეას ოიმილია ტკბილი.  
ჩანგი უკრავს და იღვრება ჰანგი,  
ეღვიძება მიძინებულ მთა-ბარს;  
როგორც სხივი ვარდის კოკორს გაშლის,  
როგორც იგი გააღვიძებს მარცვალს,  
ეღვიძება თვალმილულულ ბალახს,  
აფახულებს შველის ნუკრი თვალებს.  
ეს სიმღერა საიდუმლოს ამხელს,  
სინანულის დიდი ძალა ახლავს;  
შეაჩერებს, გაუღივებს გრძნობებს  
ცოფმორეულ და აღრენილ მხეცებს;  
ცხარე ცრემლი დასდინდება ლოდებს,  
წყარო რაკრაკს, ქარი კისკისს შეწყვეტს.  
ყვება ქალი მის სევდიან ამბავს,  
ბედუკულმართ სიყვარულზე მღერის,  
განაბული ისმენს მთა და ველი,  
ამაყ კლდეებს მოუხრიათ ქედი;  
ნადირ-ფრინველთ აუწყვია ხმები,  
ყველა ჩიტი მის სიმღერას მღერის;  
ბანს აძლევენ, ზუზუნებენ მთები,  
სატკივარი გასჩენიათ ერთი...



ეს ის ხმაა – შეწყობილი ჰიმნი,  
საიდუმლო – ბუნებისგან ქმნილი,  
ყველა სულდგმულს თავის გვირგვინს ადგამს,  
ერთმანეთთან აკავშირებს, აბამს...  
...გარიფრაჟზე, როცა ლამაზ მთა-ველს  
ეფინება ცის ცვარ-ნამი დილის,  
ეს – მედეას ცრემლებია მწარე,  
ეს – მედეა დაბრუნდა და ტირის...





## ზამთარი დაღიანების სასახლეში

აქ, ჩემს ნაბიჯებს არავინ ითვლის,  
არც სულიერი არაფერს ამბობს,  
თითქოს სულები ამბოხებული  
ბუნების ძილში გაიპარაო...

ახლა ზამთარი გულუხვად მათოვს,  
თეთრი სიჩუმე ყველაფერს სძირავს,  
არადა ვიცი და კარგად მახსოვს,  
აქ ჩემს ბავშვობას მზესავით სძინავს.

ეს ბილიკები, თოვლის ნამქერი,  
ჩემს სიჭარმაგეს ედარებიან,  
დგას საუკუნის თეთრი ნაძვები  
და თავდახრილი მესალმებიან...

...თან მიმყვებიან ყმაწვილურ გზნებით  
მოგონებები – წრფელი ფიქრები;  
მიმაცილებენ და ხეივნებში  
დაფარფატობენ – თეთრი ფიფქები...



## კოლეთი

სადაც წალკოტი მუდმივად ჰყვავის –  
სადაც ღმერთებთან საუბრობს კაცი,  
გაქვავებულ და დაკოურილ ტანში  
საუკუნეებს მოუჩანს ძარღვი....  
არესის ველზე, ჰეკატეს ბაღში  
კვლავაც გრძნეული ჩურჩულებს ქარი,  
აქაც, მზის ხნულით დავლებულ კვალში,  
სიბრძნის თავთავებს ჩაურგავს თავი....  
დატყვევებულა სიმართლის კაცი,  
აქ, ამ კლდეებზე, დალენილ ხმაში,  
გულში დაჭრილი, დაბმული ჯაჭვით  
კაცობრიობის სინდისი ბლავის!..  
კავკასიონის დაღარულ მთაში,  
მხოლოდ პრომეთეს ყვავილი ჰყვავის;  
ადამიანის მთავარი ძარღვი  
დაუფლეთია სისხლისმსმელ არწივს....  
ქართული სისხლი მდინარე ფაზისს  
გაუტანია მსოფლიოს ზღვაში –  
დაფლეთილ გულში, დაწრეტილ ძარღვში,  
ნარჩენი სისხლი ადის და ჩადის....  
...ჩარაზულია სიმართლის კარი,  
ავსებულია ფიალაც – თასიც....  
გამოკვანძული ოხვრით და ტანჯვით,



ბედის ჭრიალებს წყეული ჯაჭვი...  
ველზე სისინებს გრძნეული ქარი:  
თავს აიშვებსო სიმართლე კაცის –  
გუგუნებს, გმინავს, ბანს აძლევს ხმაში  
და ექო ექოს გასძახის მთაში!..



## მუზა

იის და ვარდის ნაზი სურნელით  
ციდან მსუბუქად ჩამოფრინდება,  
სილამაზეში მერე, გზადაგზა,  
მინდვრის ყვავილებს დაეჯიბრება.

...

თვალხატულას, ბუმბულივით მსუბუქს,  
აელვარებს ზურმუხტი და ლალი,  
ყვავილების სილამაზით მთვრალი,  
მოფარფატებს ნიავივით ლალი...  
ხევში, მისი მოლოდინით მკრთალი,  
ვერ ისვენებს ძილგამფრთხალი ქარი...  
ჩამოუვლის, გააბრუებს ველებს, –  
თან წაჰყვება სურნელება მათი...  
გადასწვდება ცაცხვებსა და თელებს,  
წაუკიდებს გამოუცნობ სახმილს,  
ურუანტელი გადაუვლის ჩქერებს,  
ორფეოსის დაირხევა საზი...  
სადღაც მუზა თავის ფაენს გაშლის,  
გადმოაფრქვევს შადრევანი ფერებს,  
წაიმლერებს ურმულს ვიღაც მგზავრი –  
ვიღაც სტვირზე დაკვნესებს ლექსებს...



## საფეხურები

საფეხურები ვისთვის კიბეა,  
ვისთვის მანძილი – გზა გასავლელი.  
საფეხურები ვისთვის შიშია,  
მხოლოდ სიმაღლე და ცათამპრჯენი.  
ვისთვის, უბრალოდ მზა წინაღობა,  
ვისთვის, ცხოვრების გზის დასაწყისი.  
საფეხურების ზოგსაც რიდი აქვს,  
საფეხურების ზოგი გიუია,  
თუ კაცი მოძმე და კეთილია,  
საფეხურები მისთვის ხიდია.  
ვისთვის მზე არის ცის კაბადონზე  
და შეუძლია მისი მოწყვეტა.  
საფეხურები ვისთვის სამყარო,  
ცხოვრების აზრი და სიმბოლოა.  
საფეხურების გავლა ზოგისთვის  
მხოლოდ თამაში და აზარტია;  
ვისაც სიმაღლის შიში აწუხებს,  
მისთვის მისჯილი საწამლავია;  
ვისაც სიმაღლის დაპყრობა უნდა,  
მისთვის ნანატრი გასაქანია.  
საფეხურები ვისთვის სიბრძნეა  
ასვლა-ჩამოსვლის ოსტატობისა;  
საფეხურები ვისთვის ცირკია,  
დიდი ტრამპლინი და ასპარეზი;



ვისთვის ცხოვრების დიდი ტვირთია  
და გასაწევი მძიმე ჭაპანი;  
ვისთვის სიბრძნეა – ცხოვრების სიბრძნე,  
ნასაკითხავი და დასასწავლი;  
ვისთვის მწვერვალი და დასაპყრობი,  
ცივი, მკაცრი და მიუწვდომელი;  
ვისთვის ციხეა და განაჩენი,  
ქვესკნელისაკენ ჩასაძრომელი.  
საფეხურები ვისთვის რითმაა,  
ლექსის პწვარებში ჩასაქსოველი;  
ვისთვის რეკვაა – ზარების რეკვა,  
მეორედ მოსვლის მაუწყებელი;  
ვისთვის სიწმინდე და ნეტარება  
ან საუკუნო სასუფეველი.  
საფეხურები ვისთვის ტახტია,  
ძალაუფლების საბრძანებელი;  
საფეხურები ცის კაბადონზე  
ზოგსაც ჰეგნია უფლის ნაბოძი.  
საფეხურები ჩვენი ტვინია,  
დაუპყრობი და ძნელად საცნობი;  
საფეხურები ჩვენი ბედია,  
ცხოვრების აზრი და გასართობი.  
საფეხურები ყველგან ჰკიდია,  
ზოგიც პატარა, ზოგიც დიდია,  
ზოგისთვის, მართლაც დიდი ტვირთია,  
მთელი ცხოვრების გზა და ხიდია!..

## ღმართო, ღასწევლე პოროტი

მეგონა, ბრძენ მამამთავართ  
თუ ეპყრათ ქვეყნის საჭენი...  
ეტყობა ღამის ძილ-ღვიძლში  
ღამაზ ოცნებებს ავყევი.  
თავს ჩამოგვენგრა ქვეყანა,  
მთავარი ღერძი და ბჭენი,  
მერე ნელ-ნელა უფსკრულში  
უკუღმა ტრიალს ჩავყევით...  
ამ გასაჭირში მთასავით  
დამიხორაგდა სათქმელი,  
ვერაფერს გავხდი ტირილით,  
ვერსად წავიღე ჩივილი...  
ქვეყანამ იწყო ბარბაცი,  
დავიძმობილეთ სოროსი...  
ჩაქრა იმედის სანთელი,  
სული მიტირის ობოლი,  
ქვეყნის ამ დღეში ჩამგდები,  
ღმერთო, ღასწევლე პოროტი.

## ნიღები

თუ დააკვირდით უცნაურ ამბავს, –  
საკუთარ თავთან ყოველთვის სხვა ვართ,  
საუბედუროდ, გავუტაცნივართ  
ბალ-მასკარადში ნიღბებით თამაშს...  
თუმცა, გრძნობები, თოთო ბავშვივით,  
მუდამ მოვლილი გვაქვს და სათუთი,  
ეს შიში არის, თუ დაცვა თავის,  
მაშ, რისთვის გვინდა ეს მასკარადი?!  
თითქოს არ ვჯავრობთ, თითქოს არ ვწვალობთ,  
თითქოს არ გვტანჯავს წუთისოფელი, –  
ყველა დროების დიდი ტირანი,  
მორგებული გვაქვს ჩვენ ეს ნიღაბი.  
რომ, სათუთ გრძნობებს შენახვა უნდა,  
მართლა სჭირდება მოვლა და დაცვა,  
ალბათ, ჩემამდე პასუხი კითხვას  
ათასმა ვინმემ მრავალჯერ გასცა.  
მაგრამ, არ ვიცი, აზრს და შინაარსს,  
ამ აბდაუბდას თუ ვინმე ჩასწვდა;  
შენი სხვისაში რომ არ გარიო,  
უნდა დაუშვა იქ რკინის ფარდა!..  
ზღვა სიხარულით ივსები ზოგჯერ  
და დატორტმანებს ფეხქვეშ სამყარო,  
ეს ყველაფერი შენია მხოლოდ,

## მუზები

სხვას ვერ აუხსნი და ვერ გაუყოფ...  
ან გენატრება კვლავ იავნანა,  
დედის გულმკერდში ლოყების ჩარგვა;  
სევდის, ტკივილის და ბოლმის ნაცვლად,  
საფლავის გულზე ყვავილის დარგვა.  
ზოგჯერ არ ვყვებით მოვარდნილ ტალღას,  
თუმცა მეგობრის ღალატი გვტანჯავს, –  
მელანქოლია შემოგვხვევს საბანს  
და გადაგვაქცევს ცრემლების ღვარად...  
რომ გადავმალოთ გრძნობები სხვაგან,  
არავინ ჩასწვდეს ჩვენს ფარულ ზრახვას  
და არ ახადოს დაფარულს ფარდა,  
გამუდმებულად ნიღბები მზად გვაქვს.  
თუმცა, ყოველი ირგებს თავის როლს,  
ზოგჯერ ნიჭით და ზოგჯერ უნიჭოდ, –  
ყველაზე ცუდი ის არის სწორედ,  
რომ გვავიწყდება ვინ ვართ უნილბოდ!..  
ამიტომ ვრჩებით უფალთან მარტო  
და ალსარება გვინდა გავანდოთ,  
ამდენი ბილწი თამაშის შემდგომ,  
რომ განაჩენი გამოგვიტანოს!..



## უთხოვარის ხე

ეს ხე 5000-მდე წელს ითვლის...

დედამიწის გულს სწვდება ფესვებით,  
გაშლილი მხრებით – მაღალ ცის ტატნობს,  
დგას საუკუნის აღმართულ თაღზე  
და გვირგვინივით მიდამოს ამკობს;  
დგას ბრგე, ტანმსხვილი, ხე – ჯავრიანი,  
ტყე-ქარაფებთან, როგორც დარაჯი;  
მესაიდუმლე წელთა ქარავნის,  
გაუღენთილია ჟამთა ქარაგმით,  
და იფურცლება ვით ფოლიანტი –  
ვით აზროვნება მემატიანის...  
ყოველდღე იბრძვის ვით ამირანი:  
გორმალალიდან იტაცებს არილს  
და მის დიდებას ეს გოლიათი  
გზაგასაყართან ქვეყანას აწვდის...



## გზა ნათელისა

რომ შევიყვარე კამკამა ზეცა,  
ვითა სიმართლე სისპეტაკისა,  
რომ შევიყვარე ეს ლურჯი მთები  
და სიამაყე წმინდა გულისა,  
რომ შევიყვარე ეს უძირო ზღვა,  
მსგავსი უსაზღვრო სიყვარულისა,  
რომ შევიყვარე ეს ბილიკები,  
ყოვლის მომცველი – გზა ნათელისა,  
რომ შევიყვარე ცისკრის ვარსკვლავი,  
ნიშნად სიცოცხლის გამარჯვებისა,  
რომ შევიყვარე ფრინველთ გალობა,  
ვითა გალობა – რეკვა ზეცისა,  
ზღაპრულ ფერების ვიგრძენი ტრფობა,  
ვით უსასრულო ტრფობა ფერისა,  
რომ ყვავილების სურნელი მათრობს,  
ვით საუკუნო კმევა ზეცისა,  
შევისისხლხორცე პური და ღვინო  
გონების საზრდოდ თავად უფლისა,  
რომ შევიყვარე წყაროთა დენა,  
წყარო – სიმბოლო უკვდავებისა.  
უფალო, გმადლობ, უფალო, გმადლობ,  
მომეცი ნიჭი აღმაფრენისა!..

## შენ უცი, უფალო...

ხანდახან მრცხვენია, უფალო,  
საპანი რომ მხურავს თბილი...  
ზოგისთვის სახლია – ხის ძირი  
ან ბნელი სარდაფი ცივი;  
ვიღაცა ხელს იწვდის – მშიერი,  
ლუქმაპურს მოითხოვს მწირი;  
დამუქდა ზოგისთვის სამყარო,  
ვინ შვილის საფლავზე ტირის...  
ჯარისკაცს სისხლისგან დაცვარულს  
თვალებზე აკვდება ბინდი;  
მოელის საშველს და სასწაულს  
ობლების შემყურე ქვრივი...  
მაგრამ?.. ო, შენ უწყი, უფალო,  
ვის რა გვარგუნო  
და... რისთვის...






## ხეშეშური

ბაბუამ ეს ხე, ასი ნლის ნინ,  
ტყიდან მოტანილ ველური  
ჯიშის პანტა მსხალზე დაამყნო.

ჩემს სარკმელში იჭყიტება,  
ჩემს სარკმელში ტოტებს არხევს, –  
დგას ამაყად ხეჭეჭური,  
დატვირთული, მსხმოიარე.  
დაკოურილი – ფესვმაგარი,  
ყველა სეზონს ალამაზებს,  
ქარია თუ ნიავქარი  
მის ტოტებში დაფრიალებს.  
გაზაფხულზე, როცა ყვავის,  
არემარეს სურნელს აფრქვევს,  
ყველა მწერი და ფუტკარი  
მის ყვავილებს დასტრიალებს.  
ცხელ ზაფხულში, მხრებგაშლილი,  
ფოთლით ფარავს ცის ლაჟვარდებს,  
მის ჩეროში შეხიზნული,  
სამოთხის ბალს მიამსგავსებ.  
შემოდგომას – დატვირთული  
სიამაყით ტოტებს არხევს,  
ქვებს ასკდება მწიფე მსხალი  
და სიუხვით გულებს ავსებს.




ფეხმორთხმული იანვარი,  
როცა ქარბუქს ატრიალებს,  
თავს ეხვევა წრიპა-შაშვი, –  
ფითრის კენკრას იპარავენ...  
მის მკლავებში იხლართება,  
მზე ამოსვლას ველარ ასწრებს,  
თავად მთვარე, ვარსკვლავები  
ამ ტოტიდან მითვალთვალებს.  
ჩემს სარკმელთან მიდი-მოდის,  
მას ჩემს გარდა ვერვინ ამჩნევს,  
ჰოდა, ჩემი ოცნებები  
მის ტოტებში შევასახლე...  
ასწლიანი, ფესვმაგარი,-  
ჩემს სარკმელში მოდარაჯე,  
დგას ამაყად ხეჭეჭური,  
დატვირთული, მსხმოიარე!..



## ადგილის დედა

ლუდმილა გეღენიძის ხსოვნას

მთის ფერდობზე პანაწინა  
ოდა სახლი ედგა,  
ალიონზე აღვიძებდა  
ხმა – ჩიტების სტვენა;  
საოცარი ალლო ჰქონდა  
და მახვილი სმენა –  
თითქოს ფლობდა ზედმიწევნით  
ფრინველების ენას...  
მისი ნიჭით და უნარით  
ყველას აკვირვებდა,  
მოსალოდნელ საფრთხეებზე  
როცა ანიშნებდა...  
შემოდეგზე ნიგვზის ტოტებს  
როცა ქარი გლეჯდა –  
მარტოხელას მოლოდინის  
სევდა აწვალებდა...  
სადმე შორს თუ მიდიოდა,  
ვერსად ისვენებდა,  
თვალწინ მუდამ მშობლიური  
ქარაფები ედგა.





მის ფესვებთან შეთვისებას –  
ამგვარ ჩაკვირვებას,  
ვერ დავარქვი სხვა სახელი,  
ვეღარც ახირება, –  
და ვუწოდე მოფერებით  
მას – „ადგილის დედა“.





## გორდის მთვას

კუძღვნი ძმის ხსოვნას. როცა  
ეს ლექსი წაიკითხა, მითხრა:  
ზუსტად ასეთი რამ მინდოდა,  
ოდესმე, მეც დამეწერაო...

თურჩუს მთის ქარს, თუკი ვინმე,  
მიენდობა, გაჰყვება...  
იქ, ზემოდან, მესხეთის მთებს  
სიამაყით დახედავს;  
ასხის მთის ქედს, ერთხელ მაინც,  
ფეხქვეშ ვინმე გათელავს;  
ვინც შეხედავს კავკასიონს,  
ამაყს, ცივს და განდეგილს;  
ხვამლის მთამდე ვინც აიტანს,  
საგანძურებს აკრეფილს;  
ნოლის ციხეს, ველის ციხეს,  
ვინც მოივლის ლაშქრობით;  
დადიანის ხეივანში  
ერთხელ მაინც გაივლის;  
ან დედოფლის წყაროს შესვამს,  
უკვდავების – სამოთხის;  
გორმალლიდან თურჩუს მთამდე,  
ვინც ვარსკვლავებს ამოთვლის;



ვინც ოკაცეს გადახედავს,  
საქაჯის მთებიდან;  
ვინაც ნახავს, წყალვარდნილი  
მთიდან როგორ გადმოჰქუს,  
უფსკეროდან ცივი წყარო  
კალმახს როგორ ამოჰყრის,  
ვინაც ცხენებს აჯირითებს  
მეიდანის ბალახში,  
ვინც გაათევს, ერთხელ მაინც,  
ღამეს მწყემსის კარავში,  
ანდა, ჭინკებს ვინც დაიჭერს  
ქვერეყანის ჭალაში...  
ვინც მისწვდება ირემს რქაში –  
მაღლა მთიდან წამოსულს,  
ვინაც მოსწყვეტს ლამაზ ყვავილს –  
სალი კლდიდან გადმოსულს,  
ვინც მდელოზე სუფრას გაშლის,  
მთვარეს ნახავს ამოსულს –  
სილამაზის სასწაულის  
ზღაპრულ ძალას გამოცდის, –  
ის ამოხსნის ამ ადგილის  
საიდუმლოს ჯადოსნურს!..

## ტირანი

„ის“ ავი გულით, სნებით, მახვილით  
ცოდვათა მორევს დაატრიალებს,  
ბრბოთა სახელით – მისივე ძალით,  
მთელს დედამიწას აატრიალებს;  
წაშლის კაცობას და აზროვნებას,  
ფეხქვეშ გათელავს მის იდეალებს, –  
სანამ დრო – მისი მთავარი ძალა-  
ამ სისასტიკეს გაუნიავებს...  
მერე, მოსდგება დროის ბორბალი  
ცელს პირუკულმა შეუტრიალებს...  
ამ თავბრუდამხვევ ტრიალ-ტრიალში  
არის ბჭობა და არის გნიასი,  
რომ ისტორიას ქმნიან გმირები,  
რომ წესებს ადგენს ადამიანი...  
ვისაც ჰერონია იყოს მარტივი...  
მე კი მგონია, ასე არ არის, –  
სცენას განაგებს დროის მახვილი  
მართლაც სასტიკი და შემზარავი...

## ვუძლვნი პატრიარქს

...იოანე ყვება მძიმე უამთა სწებას:  
მზე ბნელდება როცა – ძაძით იმოსება,  
ეცემიან მთანი – ვარსკვლავები ქრება,  
ფარისეველთ, გლახაკთ ჭკუა უბნელდებათ, –  
იქცევიან კაცნი ბილწთა ფეხის მტვერად!..  
მწყემსნი თაყვანცემად ეშმას რიგში დგება,  
მხეცის ნიშანს იკრავს და მას უერთდება.  
იოანე გვამცნობს მძიმე უამთა სწებას:  
განსაცდელის უამი უღვთოდ არ ეგება,  
ვინც ღაღადისს ავლენს, უფლის ნებას ჰყვება,  
გზას არ უბნევს ფარას – სულით არ ეცემა  
და აცილებს სამწყსოს უფსკრულს გადაჩეხვას,  
ვინც ატარებს სამოსს უწმინდესს და სპეტაკს,  
სათნო სიყვარულის გულის კარს არ კეტავს,  
ღვთისმშობლის ხმას ისმენს – გრძნობს მის  
ცრემლთა დენას, –  
ღვთის გზას ვინც მიჰყვება, გადაარჩენს ერსაც!..


## გზებ დაუშვა ფარდა

მზემ დაუშვა ფარდა, სხივი იფანტება,  
სადღაც სილურჯეში გემი იკარგება,  
ზღვის ნაპირი ელავს ცისფერ განტოტებით,  
მე დაღლილი ვდგავარ მზესთან განშორებით...  
ახლა, ჰორიზონტი თალხით იბინდება,  
კვდება ოცნებები, ზღვაში იძირება...



## ეს ყველაფრი მაკვირვებს!..


ყველაზე მეტად მაკვირვებს:  
ცისკარზე თვალის გახელა,  
მზის დიდებული ამოსვლა,  
ღრუბლებში გამონათება,  
ალაგ და ალაგ მთა-ველზე  
მზის ხალიჩების დაფენა,  
ნისლებში მთების გახვევა,  
მათი ხევებში ჩაშვება,  
გზა-ბილიკების დახვევა,  
ბუნების იდუმალება...  
დაღამებისას, ბინდ-ბუნდში,  
ცა-ვარსკვლავების გაღება,  
დაუსაბამო სივრცეში  
მათი კაშკაშა ნათება...  
განთიადისას, ფრინველთა  
აუღურტულება და სმენა.  
სტვენა, გალობა, ძახილი, –  
მათი ჭიკჭიკი და ენა...  
ბუნების გამოლვიძება,  
პატარა ია – სამთერა,  
აკაციების სურნელით  
აპრილის შემობრძანება...



ცრემლები ვაზის – უფლისა,  
მის ფესვთან ქედის დადრეკა,  
მისი ცრემლებით ტირილი,  
მერე ჭიგოზე ახვევა...  
კაცის მოვლენა – გაჩენა,  
სიკვდილი – გარდაცვალება,  
მათი მიზეზის გარკვევა, –  
ძიება და ვერ გაგება...

\* \* \*


თუ, ის არ არის  
ხალასი – ლალი,  
თუ, მას არ ახლავს  
სიბრძნე და მადლი  
თუ, წიაღიდან  
არ არის ნათლის,  
წიჭიერებას  
არა ვცემ პატივს.



## ჩემს ანგელოზს

გამორჩეული მე არ ვყოფილვარ...  
მაგრამ სხვებისგან ბევრჯერ ვიგრძენი,  
პატივსაცემი და სათაყვანო,  
ჩემში, რატომღაც, ეს – შენ იყავი...  
ამ უსასრულო ჯაჭვურ ქაოსში,  
რწმენას და იმედს ეს – შენ მაძლევდი,  
ზღაპრულ გმირივით, შენი წყალობით,  
ბეწვის ხიდზედაც ბევრჯერ გავრბოდი...  
ზოგჯერ ვფიქრობდი, რომ მიმატოვე  
და განსაცდელში მარტო ვიყავი,  
ბოლოს ვხვდებოდი... ომგადახდილი,  
რომ ყოვლისშემძლე, ეს – შენ მიცავდი.  
გთხოვ, მაპატიო, რომ ვარ უგნური,  
რომ დავიბადე ბრმა და უნიჭო,  
შენ, მშვენიერი და ულალატო,  
რომ თავის დროზე ვერ შეგიცანი...  
არ მომანიჭა ძალა ბუნებამ,  
მოზომილ საზღვრებს ვეღარ გავცილდი,  
ამ ჯოჯოხეთურ ყოფა-ცხოვრებას,  
შენს ერთ ღიმილზე უმალ გავცვლიდი!..

...მის მიმართ კითხვა ხშირად მიჩნდება,  
რატომ მფარველობს და არ მიწყრება?  
უსუსურ ბავშვად მიმიჩნევს ალბათ  
და ყრმის თვალთვალი არ ავიწყდება,  
საით გადავდგამ პირველ ნაბიჯებს,  
აინტერესებს და მაკვირდება!..




## ბრძოლა დაინეო...

გადაუარეთ მდიდარ ნაპირებს  
და სიღრმეებიც გინდათ დაიპყროთ,  
კარგა ხანია ამას აპირებთ,  
დიდი ხანია, ბრძოლა დაინეო...

ჩემი გვირგვინი ეკალბარდია,  
თქვენი გვირგვინი კი – ოქრო-ვერცხლი,  
მხოლოდ ეს არის, რაც მაბადია,  
რაც დამეკისრა, ამას ვერ შევცვლი.

ქვეყნად რომ გავჩნდი, ასე მგონია,  
მაშინ დაინეო ბრძოლა და შფოთი,  
თქვენ რომ გგონიათ, ასე როდია,  
კაცი მისით ჩნდება და მოდის.

აღარ მჭირდება ყალბი დიდება,  
ეკლიან გზაზე თავად დავდექი,  
მადლობა უფალს არ მერიდება,  
პირში გახალოთ ჩემი სათქმელი.






## საზოგადოების კალაპოტში


ჯერ ბუმბული შემიღუნდლა,  
ერთხანს ფრთებით მაფრინა,  
სადმე, შორს რომ არ გავეშვი,  
დიდი ჯაჭვი დამკიდა,  
მის კარებთან დამაყენა,  
შეგონება მასმინა,  
მერე წნეხში გამატარა,  
მის ჭკუაზე მაფიქრა,  
საზრდო მომცა, – გამომკვება,  
ჩინ-მედლები დამკიდა,  
მის ცარიელ კალაპოტში  
უხვ მდინარედ მადინა, –  
მინდოდა, თუ არ მინდოდა,  
ბევრი ცოდვაც ამკიდა.






## თუ გული არ გტკივა

თუ გული არ გტკივა  
და სული არ გეძვრის,  
თუ არ გემღერება,  
არ გიყვარს,  
არ ეტრფი,  
არ გმეხავს, არ გაკრთობს  
თქარუნი წამების,  
გარკვევით არ გესმის  
ხმა – ცისკრის ზარების,  
სურვილიც არა გაქვს  
ოდესმე გაფრენის,  
მოვარდნილ ქარიშხალს  
არასდროს გაჰყევი,  
მწუხრისად ანავლე  
ჟამი და ზაჰმები –  
ამ ჭაობს, ამ ურვას  
ვერასდროს გასცდები...



## არ მავიცყდება!..

გულში თამამი აზრის გავლება,  
როცა ამგვარი შანსი გაჩნდება, –  
დედამიწიდან წასვლა-გაფრენა,  
მზის ბილკებზე ფეხის დადება.  
არ მავიწყდება, უკან დაშვება...  
მეორედ მოსვლა და მონატრება.  
მუხლმოდრეკილი მისვლა ხატებთან,  
მონანიებით ცრემლის დაფრქვევა.  
დიდი გრძნობების განცდა – გაგება,  
სიყვარულისთვის მსხვერპლის გაღება,  
სამშობლოს დაცვა და დაფასება,  
სისხლის დაქცევა და გადარჩენა.  
მეგობრის ნახვა და შეყვარება,  
ერთგულებისთვის ფიცის დადება,  
გულის კარების ფართოდ გაღება,  
სიყვარულისთვის ხიდის გადება.  
ბედთან საშიში გათამაშება –  
შეუპოვარი ბრძოლა – გაბედვა,  
მისი სიმუხთლე და დამარცხება,  
მოლიპულ გზაზე ფეხის წაცდენა...  
ამაოება – გულის გატეხვა,  
უიმედობა – ხელის ჩაქნევა...



ზღვა იმედების თავზე დანგრევა, –  
ამ ნანგრევებში ახლის დაწყება!..  
მძიმე ტვირთების მხრებზე დადება,  
ჯაფა-შრომაში წლების გალევა,  
მართლის ძებნაში ქოშის გაცვეთა,  
სულის შენახვა და გადარჩენა!..  
მიწიერ ფართან ზღვარის დადება,  
ჩარაზულ კართა გახსნა-გალება,  
სამანთა კვეთა და გარდატეხა,  
ღვთის საუფლოში გადაბარგება!..





## რაღაც მეორდება

რაღაც მეორდება...  
და მე ვარ გმირი?  
თუ გმირებს თავად  
ვთხზავ და ვიგონებ?  
და თუ არ!.. – მაშინ?..  
ვიღაც იზრუნებს:  
ვიღაც დაახვევს  
უკუღმა ფირებს  
და მას ხელახლა  
გამოიგონებს!..



## ԺԱՐՏ

Եանդասան մոհճա, մոշարդնոլ ցրծնօքեծ  
ազպա դա ցազպա լրջածլեծի մարդո,  
նյ դամոյանքազ լամած ուբնեծեծս,  
Եյլս նյւլար մոմլո, նյ դամսգեզ, ქարո!..  
Ցոցս, ոյնեծ, մարտլաց նօազոտ արտոծ  
ան, ոյնեծ, սյազգուս ցայրոնծաս լամոծ,  
տպմու პորցելոնծաս արացուս անգոծ,  
Եանծրուս ჩայրոնծաս արասգրուս ჩյարոծ.  
Եան ցրոցալո եար, եանաց եար սատնո,  
մոմարտպուլեծաս նյ օւցոլո, ქարո,  
ասետ սպորոս դա արա սանդոս,  
մոտեարո, ցուլո րոցոր դացանդո?..  
Եայ յարոմեթեալմի դամքոզեծ մարդո,  
Եայ ցամոապլո ամ ցրծնօքեծս սաթրդոս,  
մաժոն ափեթե ցանցաժո, ქարո,  
դա օնազարդե լրջածլեծի մարդո!..

## არ ჰეთდა ყვავილს

რა მაშტოთებდა არ ვიცი მასში –  
ჯარბისმიერი არ ჰქონდა შხამი,  
არცა ჯავშანი და არცა ქაცვი,  
არც ჯარაოტის სიბლანტე მყრალი;

აყვავებული საკუთარ ბაღში –  
დაწინწკლულ სისხლის წითელი ხალით,  
ვარსკვლავიერი ფორმით და ხაზით  
იგი ყვავილი არ ჰეთდა ყვავილს.

ლაზარინელი ვით სიერცეს ჩხიბავს,  
ან მეძებარი გერშ იკრავს ჩქამის,  
გაზირი ეძებს საცნაურ ნიშანს, –  
მე მივამგვანე ყვავილი ასპიტს.

იქნებ არ იყო სწორი მისნობა,  
თუმცა, გულისთქმა ამას მიხმობდა  
და განვიცადე ეს ყვავილობა,  
როგორც ნიშანი – ცუდი პირობა.

ვის სილამაზე ღმერთად უცვნია,  
ვინც თავს ევლება და აფაქიზებს,  
ჩვენი გულები რასაც უპყრია,  
განა ყოველთვის ისხამს ყვავილებს...



## დაზარდა პაპის დუქანი

მამის და პაპის პაპისგან  
სამჭედლო მერგო დუქანი,  
რკინის რამ მეგდო ნაჭერი,  
უხეში, გამოუწვავი,  
საბერველს ხელი დავავლე,  
საცეცხლურს შემოვუძარი,  
გახურდა გრდემლი ქურაში  
და გამოვჭედე უზანგი...  
ხმალი გავპრძმედე, რა ხმალი,  
ოფლი დავლვარე უზღვავი!..  
სიმტკიცის ახალ საზომად,  
ახლა გამოდგა დურალი,  
ხმალი ჩაჟანგდა ქარქაშში,  
ბრძოლის დავკარგეთ უნარი!..  
ჩაქუჩი, გრდემლი, უზანგი  
დადუმდა პაპის დუქანში...  
წინაპრის ნაქონ ქურაში,  
ვეღარ დავჭედე ლურსმანი,  
ხარები ნაალპურალი,  
ვერც ბედაური ქურანი.  
დრო დადგა ბედუკულმართი,  
დაგროვდა ბოლმა-ბულმანი...  
სიტყვა გავჩარხე ქურაში,  
ამასაც უნდა მულამი, –  
მამის და პაპის ნაქონი  
გადავაკეთე დუქანი.



\* \* \*

აღარ დამიმატოთ  
მეტი საწამლავი...  
გთხოვთ, დაიცადოთ...  
ღვთის გულისათვის,  
გევედრებით,  
იქნებ დამინდოთ.  
თუ მაინც?...  
მაშინ შევიშლები,  
ჩემო კარგებო,  
და საბოლოოდ გავფრინდები  
ჩემს „კუთვნილ“ სახლში...





## გედის მხედარი

შენს კარავთან არასოდეს მოვა ბედი,  
ბედის მხედარს თავად უნდა ჰგავდე,  
მისი ცხენი თავად უნდა გახედნო,  
გააქანო, გახვითქო და დალალო!..  
გააქანო, ის ტაიჭი უებრო,  
სალ კლდეებსაც მტვერს დაადენს რაში,  
მინდორ-მინდორ კი არ უნდა ატარო,  
ეკალ-ბორცვი – ტევრი უნდა გაკაფო!  
მთის ხევებს, მთის ფერდობებს არ აფარო! –  
მთაგრეხილებს უნდა გადაატარო,  
განა, ყველგან თავი უნდა დახარო,  
განა, ყველგან მტერი უნდა ახარო!..


შენს კარავთან გელოდება რაში,  
ნუ აყოვნებ, შეკაზმე და გასწი!..



## რა ხალხი ხართ?!.

მკრეხელებს და ამპარტავანთ  
კაცის სახე დაგიკარგავთ,  
ამბიციას დაუზრდიხართ,  
უზნეობას დაუცდიხართ,  
შურს და ღვარძლში გიბანიათ:  
სხვისი ოფლის მონაგარის,  
სხვისი სისხლით განაბანის  
წენვა-გლეჯა აგიტეხავთ!...  
ღმერთის რისხვა დაგიტეხავთ,  
არც სამშობლო გაბადიათ...  
მიპასუხეთ, თუ ღმერთი გწამთ,  
რა ხალხი ხართ?!.






## პეპერ მუსას

ვუძლვნი ბიძას – ხუტუნა უგულავას

რამ შეაშფოთა, რამ შეაკრთო შენი ფიქრები,  
ბებერო მუხავ, ფესვმაგარო, მითხარ, რას ელი?..  
პირველად გნახე სევდიანი, გულგატეხილი,  
მე კი მეგონე გოლიათი და უძლეველი.  
იქნება, დაპერა უცნაურად სხვაგვარმა სიომ, –  
ყველა სიმდიდრე გაიფანტა, წარსულ დროს გაჰყვა,  
ზღაპრული სკიპტრა გადააგდე, ხელთ არ გიპყრია  
და სიდიადე შავ და ბედკრულ ყვავ-ყორნებს დარჩათ.  
იქნებ, ცას მოსწყდა ერთადერთი შენი რჩეული,  
იქნებ, შენს ფესვთან საყვარელი გვირილა დაჭკნა,  
იქნებ, არ გწყალობს ძველებურად ნაკადულები  
და ცისკრის ქარებს დაეკარგათ, არა აქვთ, ეში...  
ანდა, ეს არის ბედისწერის უცილო ხვედრი,  
უძირო სევდა და ნაღველი რჩეულთა წესი, –  
გადმოცემული წარსულიდან გამჯდარი ჩვენში,  
უკვდავებისკენ მიმავალი მთავარი ღერძი.





## სიზმარი

(ფენომენი)


არა სიტყვებით, არა ფრაზებით,  
არც შემთხვევით ან მიგებ-მოგებით,  
წამოშლის აზრებს ან სურათხატებს,  
რაღაც მაგიურ სიმბოლოებით.

ვფიქრდები, მაგრამ მაინც არ მესმის,  
აქ, უმნიშვნელო რაღაც საგნები,  
ან ბუნდოვანი კადრის ფრაგმენტი  
არის მთავარი და გადამწყვეტი.


თუ ეს ზმანება არის სიმართლე –  
შებურვილ აზრში არის ქარაგმა,  
თუ გვემატება სილრმე-სიმაღლე,  
რას მიუთითებს თქმაც და არათქმაც?..

ის მიღმიური ხომ არ დაგვცინის –  
იქნებ გვამცირებს – გვაკნინებს ამით;  
ან ელოდება მაგიურ ძალით,  
თუ გაიღვიძებს გონების თვალი...





არა, ამ უნარს ვერ მივაწერ  
ეშმას მანქანებს,  
ის ბოროტია და არასდროს  
არ გაგვაფრთხილებს...  
და თუ შემთხვევით გამეხსნება  
თვალი გონების –  
ალბათ, მიღმეთში დავინახავ  
ჩემს ანგელოზებს...



## პედისცერა

მითხარი, გული როგორ დაგანდო  
ან საიდუმლო რატომ გაგანდო?..  
ჩემი ცხოვრების წესს რომ განაგებ,  
ვინა ხარ ჩემი, რისთვის მდარაჯობ?..  
იქნებ, მხსნელი ხარ – თავზე მევლები,  
განსაცდელის ჟამს არ მტოვებ მარტო,  
იქნებ, მტერი ხარ – მტრულად მღალატობ  
და ელოდები ფეხს თუ დაგაყრდნობ...  
შენ უფლება გაქვს მმართო, მანვალო  
და ჯოჯოხეთის კარი მანახო...  
იქნებ, შენ ჩემი ბედისწერა ხარ,  
მთელი ცხოვრება გსურს, რომ მატარო!..  
მკაცრი სამართლით და მკაცრი განსჯით,  
თითქოს, მცდიდი და თითქოს მანრთობდი,  
ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი მაშინ,  
დახლართულ ხრიკებს თავზე მამტვრევდი!..  
ვინა ხარ, რა ხარ – რა გიდევს გულში?  
მტერი ხარ, ძმა ხარ, მამა თუ დედა?..  
გაურკვეველი – მომავლის შიში  
სულ მაკანკალებს და მზარავს ფიქრი...  
ზოგჯერ მოდიხარ – მოგაქვს ამბავი,  
არ ვიცი, არის ცრუ – თუ მართალი,

შენ ბედისწერა გქვია, თუ რა ხარ,  
რატომ გიბოძეს მესაჭის ნიჭი?..  
ცხოვრებისაგან სილაგანნილი,  
პირქვე რომ ვეგდე, უფსკრულის პირზე,  
შენ დამიფარე და ამამაღლე,  
შემომაცალე სიბნელის რიდე...  
მომეცი ძალა და ნებისყოფა,  
შენ, მიმიყვანე წმინდა ხატებთან,  
შენ, სიყვარულის მიბოძე ნიჭი,  
გადამიშალე სულ სხვა სამყარო....  
წინ მიმიძლოდი – ვიწრო ბილიკზე,  
ბრმა ნაბიჯებით დიდხანს დაგყავდი,  
მე არ ვიცოდი და არც ვფიქრობდი,  
ჩემს ცხოვრების გზას როგორ მართავდი...  
პირისპირ შეგხვდი – თვალებში გიმზერ,  
პირქუში სახე ისევ გიღიმის...  
ჩემო აჩრდილო! და ბედისწერავ!  
რას ფიქრობ? – რისი გამხადე ღირსი...




## კვლავ ველოდები მზეს და განთიადს

როს დავილლები დარდით, ფიქრებით,  
ლამეულ ჩრდილებს გავემიჯნები,  
კვლავ გავიხსენებ აისს ვარდიანს  
და ველოდები მზეს და განთიადს...

მზე თავის სხივებს ისევ დაქარგავს,  
ლამემ ტკივილი თუ დაიოკა,  
ჩამოურიგებს საზრდოდ – საკვებად,  
ტვინგაბრუებულ კაცობრიობას...





## ციური მადლი ვისაც უცვენია


ადამიანის ფიქრში, ვნებებში  
ჩაწოლილია ნისლი ქაოსის,  
ასევე მადლიც – ღვთიურ შეგრძნების  
და ხელოვნებაც დაშლა-აწყობის.

თუმც არსით აზრის გამოტანაში  
თანმიმდევრობა დაკარგულია,  
რადგან ამ ღვთიურ გამოცანაში  
ყველა ფორმულა დაფარულია.

როცა ჯამები ნულის ტოლია,  
დანაწევრება ნიშნავს დასასრულს? –  
რომელ მომაკვდავს როდის სცნობია, –  
როგორ აღნიშნავს „სიტყვა“ აღსასრულს?..

წყურვილთა ამგვარ განქარვებაში  
მიზანი თვისი ვინ აღისრულოს,  
თუ ამ უცნაურ დაჯამებაში  
ძევს ყველა ცოდნა და საიდუმლო...

ვის დიდებული ცოდნა აღანთებს,  
ციური მადლი ვისაც უცვნია,  
ო, მადლი იმას – ღვთიურ განაწესს,  
დაშლა-აწყობა ვისაც უპყვრია.





## პრენი - პოეტი

„ქეშმარიტი პოეტი არ შეიძლება სრულ ჭკუაზე იყოს“.  
(დემოკრიტე)

ბრძენმა გადაწყვიტა, პოეტი გამხდარიყო,  
რად გინდა? – მის გვერდით მუზები აღარ იყო...  
ნავიდა, ეძია, იარა – სად არ იყო...  
დალლილი დაბრუნდა და ძალაც აღარ იყო...  
რა გინდათ, რა გითხრათ?  
რა იყო და არ იყო!..  
ერთ დღესაც, მის კართან მუზები დამდგარიყო...  
ეს ბრძენი – პოეტი და შლეგი გამხდარიყო!...



## აზრი მეცნიერა

როცა რაღაცას ვერ ვგებულობ,  
ტვინი მეჭედება...  
შევდივარ ბალში,  
და ავშლი ტოტებს  
სამოთხის ვაშლის,  
იხსნება მაშინ...  
და რაც არ უნდა  
მიკვირდეს მასში,  
ცოტა ახალი,  
ცოტა ლამაზი  
და უცნაური  
აზრი მებედება...



## ...რომ დავიჩადე აპრილის თვეში

საიდან მოდის ამდენი ძალა  
და ენერგია დაუშრეტელი? –  
არ გაგიკვირდეთ, თუ შეამჩნიოთ  
მოზღვავებული ჩემი გრძნობებიც...  
...რომ გაზაფხულებს მოვყავდი ქვეყნად,  
რომ გაზაფხულის სუნთქვით ვსუნთქავდი,  
აფეთქებული კვირტების ეშნით –  
რომ დავიბადე აპრილის თვეში!..  
შევისისხლხორცე და დავინახე  
ბუნების შვილთა გარჯა-ფუსფუსი,  
ნინსვლის და სრბოლის სიმბოლო მყავდა  
ცაში გაჭრილი ლალი ბულბული.  
ჭექა-ქუხილმა ბრძოლა მასწავლა  
და შემართება – ძლიერმა ქარმა,  
თუმც, გაზაფხულის ნაზმა ფერებმა,  
ყველა სიმკვეთრე ფრთხილად წაშალა...  
მე გაზაფხულმა ამავსო რწმენით,  
ყველა სიკეთე მან დამამადლა, –  
ავი და კარგი ჩემში რაც არის,  
შეალამაზა და შეაზავა...

## ცვლა

ავი ღრუბელი ისევ ჩამოწვა,  
ხეები ხევში დაქრის განდაგან,  
ამაღამ ქარი ქალაქს დატორავს,  
ბაღში ალუბლებს ურცხვად გაძარცვავს.

იქნება ძრწოლა და ვით გამოცდა:  
ბრძოლა, ჭიდოლი, ძალის გატანა;  
ამ ყველაფერში ძველის წარხოცვა,  
და სინანულით გულის დაკანვრა.



## შეხვედრა

მდუმარებით მოიხიბლა წამი,  
წარსულს ისე გადახვია მკლავი,  
ყოვლისშემძლემ მოატყუა თვალი  
და სამყაროც ჩაატია მასში.  
აქ, ამ წამში ჩაიწურა, თითქოს,  
ვარდისფერი გარიურაჟის კვალი;  
ეს ხომ დიდი მოგონება იყო,  
ჩვენს ბილიკებს წაეყარათ თავი.  
რაც გაგვაჩნდა, ის ძვირფასი განძი,  
სიყმანვილე გაელვების მსგავსი;  
იქ ხომ ჩვენი სიყვარულიც იყო,  
შორეული ვარსკვლავივით მკრთალი.  
ჩაფერფლილი, ბუნდოვანი აზრით  
ვერ ავწონეთ ამ შეხვედრის ფასი;  
ეს ცხოვრების სიურპრიზი იყო,  
ჩვენ მდუმარე მოწმეები გავხდით.



## რაღაც ირსევა

გარდასახული მისტიურ ზღვაში,  
სხივი იღვრება ჩვენი ნაწილის;  
სადღაც მიღმიურ წარმოდგენაში  
მარადიულის ჩვენ ვართ ნაპირი.

როცა სხივები ხნულს დაევლება,  
ემჩნევა კვალი, ვით მზის ანარეკლს  
ამ ჩვენს ნააზრევს, ვით გაელვებას,  
მერთალი ციმციმი გამოანათებს.

## ქართველ ხალხს!

საიდან მოდის ამდენი რისხვა,  
ვინ დაგატეხა თავს?..  
სხვისგან რომ ელი,  
მუდარით შველას,  
შენ რა შეჰყარე თავს?!..





## მცხერის ლადეპი

იქ რომ ნანატრი მწვერვალებია,  
შავი ლანდები მწყებრით ნისლავენ,  
ლურჯი სიზმრები სადღაც ქრებიან,  
გულქვა მხედრები წამებს თიბავენ.

აქ, ცის ლაუვარდშიც არაფერია,  
ნარმოსახვაშიც იმედს მიკლავენ;  
აზრში სათუთი თუ რამ მშთენია  
ალმოფხვრილია ძირით-ძირამდე.

ცხადიც, ზმანებაც ბინდის ფერია,  
ველარ გავატან, ალბათ, დილამდე,  
აბა, ამ ქვეყნად რა დამრჩენია,  
ლამაზ ოცნებებს თუ ჩამიკლავენ.



## პოეტის...

შენი ლექსები და გენია ვის არ ათბობდა,  
ახლა კი მიკვირს, რამ გაქცია ქუჩის მათხოვრად.  
ეს შიში არის, სიმხდალე და სხვაგან გაქცევა,  
თუ განაწყენდი – ხვედრი შენი არ მოგეწონა?!  
ვერ დავინახე გაქცევაში აზრი მთავარი  
და თუ ბრძოლაა – გამარჯვება ან დამარცხება.  
იქნებ, ეს არის დაყრუება, თვალის დავსება,  
გმირული დასკვნა – გენიოსის მტკიცე ნაბიჯი,  
ვერ აამაღლე ცხოველურთან შებმული სული,  
ვერ ამოქაჩე და მწვერვალზე ვერ აიყვანე;  
ფხიზელ გონებას ალკოჰოლით ყოველდღე ახშობ,  
რომ საბოლოოდ დააძინო – დაასამარო.  
იქნებ, ნაბიჯი მერყეობა სულაც არ არის,  
იქნებ, ეს არის უმაღლესი გონის კარნახი;  
ყოველი ბრძოლა – ამბოხი სულის რომ უარყავი,  
„გაუმაძღარი აზროვნების“ მადა ჩაჰალი!..



## თამარ ლოგიანიძეს

ჭირის და ლხინის მოზიარევ და ამაგდარო,  
ჩემი ოჯახის მოამაგევ და თანამგზავრო,  
იმ დღიდან, როცა ბედისწერამ ჩვენ შეგვახვედრა,  
მიდგახარ გვერდში, როგორც შვილებს – მზრუნველი დედა.

გამოგივლია ეს ცხოვრება ტკბილიც და მწარეც,  
შენ არ გაქმარა ამ საწუთრომ ჭმუნვა და ღელვა,  
შენი ტკივილი, შენი ურვა დარდს მიამატე,  
შვილის სიმწარემ – მწუხარებამ რომ აგაცრემლა...

სანამ სიცოცხლე შენს ძარღვებში არის და ფეთქავს,  
თანაზიარო ჩუმი დარდის – მწუხარე დედავ,  
მსურს განუგეშო, გაგამხნევო – მომეცი ნება,  
დღეიდან კიდევ ასი წელი იყავი მედგრად.





## მეგობარს

(ნანი ჩიქოვანს)

ახლა, ის ჩემთან აღარ მეგობრობს...  
მან მიმატოვა ბავშვობის შემდგომ;  
სადღაც გაფრინდა – უცხო მხარეში,  
მოგონებები შემომრჩა მხოლოდ.  
მის წასვლას ისევ ბავშვურად ვდარდობ,  
ხანდახან, როცა დავრჩები მარტო;  
კვლავ ველოდები მის დაბრუნებას  
და ამ სასწაულს ზღაპრულ ბედს ვანდობ...  
იქნებ, ქარიშხალს გამოედევნოს,  
სადმე გამოჩნდეს ღრუბლების ბოლოს,  
და ველოდები ფიქრში გართული,  
რომ ხელი კვლავაც გამომიწოდოს!..  
იქნებ, ეკუთვნის ის სხვა სამყაროს,  
მას აქაური ხმები არ აკრთობს,  
ანდა, ის წასვლას სულაც არ დარდობს  
და მეგობარი მართლაც არ ახსოვს?..  
იქნებ, გამოჩნდეს სიცოცხლის ბოლოს,  
უდროოდ წასვლა მოიბოდიშოს,  
გული დალლილი – გამოფიტული  
ამ სიხარულით კვლავ ამიჩქროლოს!..





## ვუძღვნი ადამიანებს

მარადიულ სითბოდან  
ლღვება ერთი შეგნება,  
გზნება უბინობის –  
სიყვარულის შეგრძნება.  
ხელები მაქვს გაწვდილი,  
მზეო, თუ მითენდება;  
სანამ მზეობ, ანათებ,  
ამ გულს ალი ენთება,  
გადმოღვარე სიკეთედ –  
სიყვარულის შევსება, –  
ვუძღვნი ადამიანებს  
ვით უსაზღვრო ფერებას.





## მასზე და მანვე

(ადამიანზე)

ჩემს ლექსებს ხელში  
აიღებს ისიც...  
გაოგნებული დარჩება ვიცი.  
არადა იცის?...  
არ არის სხვისი!..  
მასზე ავაწყვე რითმი და მწკრივი;  
ჩემი ლექსების ის არის გმირი,  
მანვე ამივსო ლექსების სკივრი.  
მისი ცხოვრების მზითა და ბინდით,  
კარგა ხანია ვცხოვრობ და ვიწვი!..





## ვინ არის იგი?..

ვინ არის იგი?  
ხშირად ბრმასავით  
რომ შემიტყუებს უსიერ ტყეში,  
უცნაურ ხმების გარემოცვაში  
მტოვებს უჩინოდ...  
ვინ არის იგი,  
რა უფლებით!  
მტოვებს ბრმასავით?..





## დედამიწაზე რატომ ჩამოდი?..

(ბიძინა ივანიშვილს)

ჯერ კიდევ ადრე, – ღრმა ბავშვობაში,  
აღმოგაჩინე მნათობთა შორის...  
და ციმციმებდი – ჩემი რჩეული,  
გამოკვეთილი ვარსკვლავთა ხომლში.  
თუმცა, გიცდიდი,  
მუდამ გელოდი!..  
ათასი წელი და კიდევ მეტი  
მრავალთა შორის მეგულებოდი...  
მე გამიკვირდა... კიდეც აღვშეფოთდი...  
და დანანებას ჩემთვის ვამბობდი...  
რჩეულ პლეადას როცა გამოცდი;  
ადამის ენა – ქართული ენა,  
მ ო უ ლ ო დ ნ ე ლ ა დ  
შენ რომ წარმოთქვი!..  
...ცას კიდევ მოსწყდა ერთი ვარსკვლავი,  
გულს ძაფის რითმი და მოთმინება;  
ცა-მირიადებს რატომ გამოწყდი,  
დედამიწაზე რატომ ჩამოდი?..



\* \* \*

დახუნძლულ ფრთათა მძიმე ჩრდილებით  
მომისწრებს, ალბათ, შემოლამება,  
შემომაფეთებს მდარე ნაფიქრალს  
ჩახრენწილ ხმებით – ძველი სიმებით;  
დააყრუებენ ყველა ალსასვლელს:  
თქვენ დაბერდებით, თქვენ დაბერდებით...  
მე კი დაღლილი და გაძარცვული  
დახშულ გონებას ვერ მივნებდები...  
ვუხმობ ქარიშხალს ცეცხლის ეტლებით,  
მდარე ცხოვრებას ვერ მივნებდები...





## სოსო შალამპერიძეს

შენს ქუჩაზე მივაბიჯებ ხშირად,  
შენს ნაბიჯებს მივუყვები... ვითვლი...  
ამერია, ვერ ავუწყვე რითმი, –  
კაცურ კაცის ვერ ავწონე ფიქრი...  
...ეს გიტარა შენს სიმღერას აწყობს,  
ეს გიტარა შენს შეხებას ნატრობს,  
უთრთოლდება ყველა ნაზი სიმი,  
რა ხანია გელოდება – გიცდის...  
საქეიფოდ გამომივლი – ვამბობ,  
ჩემი ნატვრა რა ამაო არის...  
შენ სამოთხე თან წაიღე, ძმაო,  
ჩვენ კი უღვთოდ ჯოჯოხეთში დავრჩით...  
შენს ბილიკებს მივუყვები ნელა,  
უკან ბევრი სინანული მრჩება;  
შენთან მოვალ, თავს წავიყრით ერთად  
და ვიმღერებთ იმ სიმღერას ერთად,  
მაშინ!.. ჩემთან ბუხართან რომ შეწყდა...



## იქნება შევძლო...

აფრააშლილი ხომალდისა ვარ კაპიტანი,  
ხან თუშმალი ვარ, ხან მედროშე, ხან დასტაქარი, –  
ამ მასკარადში გამოვკვერე ჩემი ჯავშანი:  
ვყიდი, ვყიდულობ, არ ვთაკილობ, ვარ მატრაბაზი.

უახლოვდება ჰორიზონტებს როცა მიზანი,  
მომაგონდება სამარცხვინო ახლო წარსული, –  
პატარა ბავშვი, დაუცველი, პირმომცინარი,  
უმწეოდ, მარტო მივატოვე გამოქვაბულში.

სასოწარკვეთილს მელანდება მისი ტიტინი,  
მიტოვებული, უსუსური, თითებგანვდილი,  
მარწუხებს მიჭერს სინანული, შიში, სირცხვილი,  
ფუჭი ცხოვრება, უსახური, უქმად ჩავლილი.

მსურს, ვაღიარო, ამ ბრძოლაში მწარედ დავმარცხდი,  
ჩემი ხომალდი ნამსხვრევებსაც გზადაგზა ფანტავს,  
ამ ხეტიალში დაბნეული ბევრჯერ დავბრმავდი,  
ახლა ბილიკებს დამსხვრეული ნიღბები ფარავს.

თუ როლებისთვის დავიბადე სიკვდილმისჯილი,  
თუ, სახიერმა სული ხორცთან უნდა გაყაროს,  
იქნება, შევძლო დავიბრუნო სათნო ღიმილი,  
ბავშვის თვალებით დავინახო კვლავაც სამყარო.



## რა აფერადებს კაცის გვირგვინს?..

თუმცა, ტოლები – ფრთამოფარფატე,  
შენს ირგვლივ ლამაზ გვირგვინებს წნავდა...  
შენ შეცპუნებამ შეგიპყრო მაშინ  
და გაიკვირვე პატარა ბავშვმა...  
როგორც ყვავილის გვირგვინის ფურცლებს,  
სხვადასხვა ფერი ამკობთ და ფარავთ,  
ირგვლივ... სუყველას სხვადასხვა ფერის  
წამოსასხამი მანტია ახლდა:  
ზოგს ჭრელა-ჭრულა ან მუქი ფერის,  
ზოგს დაფოთლილი ლაქები აჩნდა,  
ზოგს – არ ემოსა არც ერთი ფერი  
და უბადრუკი უსახურს ჰგავდა...  
მას შემდეგ ფერებს აღმერთებ ისევ...  
და ეძებ!.. ეძებ!.. მას შემდეგ ახსნას,  
რა აფერადებს, – რა ამკობს ასე,  
კაცის გვირგვინს და მის წამოსასხამს...



\* \* \*

გთხოვთ, ნუ შეწუხდებით  
ნესებს ნუ მომარგებთ,  
არასდროს ვყოფილვარ ბეჯითი მოსწავლე...  
„ის“ თავის კალაპოტს  
თუ სწორად მიჰყვება,  
ქცევაში შეცდომებს  
არასდროს უშვებდა;  
მე კი... შეცდომებით ავავსე ყულაბა,  
შემინდოს, შემინდოს, შემინდოს უფალმა...





## თვითმაკვლელობა


კაცმა, რომელმაც მთელი ცხოვრება  
ლამაზ ოცნებებს თავი შესწირა,  
არ მოელოდა და ვერ დაფიქრდა,  
თუ ბედისწერა მისი განსჯიდა...  
სვე დაუნდობლად ძალას აცლიდა,  
ის კი არასდროს ფარ-ხმალს არ ჰყრიდა,  
მან მიზნებისთვის თავი გადადო  
და საკუთარი ხორციც გასწირა...  
აგურს აგური როცა დაადო,  
ცათამბრჯენები როცა აზიდა,  
ოცნების კოშკი როცა ააგო,-  
ეშმაკმა სწორედ მაშინ დასცინა...  
მან რომ იფიქრა - წარმოიდგინა  
ტანჯვა-წამება თითქოს დასრულდა,  
გადმოიხედა ამ მწვერვალიდან  
და გამოერკვა ძილბურანიდან...  
ამპარტავანი, ფარისეველნი  
ქება-დიდებით პატივს აგებდა,  
გზასაცდენილი, ტანჯვა-წვალებით  
თურმე, ამ კოშკებს მათთვის აგებდა...  
მას შემოესმა სიცილ-ხარხარი,  
ნიშნის მომგები და შემზარავი,






გამოწვეულმა მზაკვრულ თამაშში,  
ვერ დაინახა არსი მთავარი!..  
სიბრაზისაგან ისე გამწარდა,  
სიცარიელეს სილა გააწნა,  
ის გადმოეშვა ცათამბრჯენიდან  
და ყველაფერი ამით გათავდა.  
მიზნის მიღწევა თუ დააპიროთ,  
ცამდე კოშკები აღარ აზიდოთ.  
უნდა დაფიქრდეთ, კარგად განსაჯოთ,  
სიცარიელეს არ შეეჯახოთ!..





## მან ანგელოზი იხილა ჩემი

მომიახლოვდა მოხუცი ქალი,  
სიმპათიური, დარბაისელი;  
რა ლამაზი ხარ – წაიბუტბუტა  
და ზე აღმართა ორივე ხელი;  
მე – გაკვირვებულს და ელდანაცემს  
დამცრა, დამურულა დამესხა რეტი;  
ჰოი, მართლაცდა დიდება ღმერთის –  
მან ანგელოზი იხილა ჩემი...



## სპონჩავ, რას ამბობ..

სკვინჩავ, რას ამბობ, რატომ დაგვძახი,  
ნეტა, რა იცი, რამ აგაღელვა?  
ცუდს ვინ გვიქადის – რა გვემუქრება,  
პატარა გული რას გეუბნება?..  
ვიცი, შენა ხარ ჩვენზე ჭკვიანი,  
შენა გაქვს ჩვენზე ფაქიზი სმენა,  
შენ იცი კარგად ბუნების ენა,  
ვიცი, შენ ამბობ სიმართლეს მეტად!  
არ აგვეხილა გონების თვალი,  
არ დაგვიბრუნდა ნამდვილი სმენა,  
შენი რომ ვერა გავიგეთ – ვერა –  
ალბათ, ბრაზდები და გული გწყდება...





## კესანე

გულს რომ გახსნის გაზაფხული,  
თბილად მოგეფერება,  
მოგინდება დაჩოქება  
აყვავებულ ველებთან;  
არის ნაზი, არის მშვიდი  
ვით უსაზღვრო ფერება, –  
კესანეა გაზაფხულის  
ცისფერთვალა მშვენება.





## მარიამობას

(ვუძლვნი ძმის – ვალერის ხსოვნას)

მარიამობას, სურნელთა კმევა,  
დამცხრალი ვნება და წყნარი ზეცა,  
დარდთა, წუხილთა, ტკივილთა თმენა,  
სულთა მოფენა – გაფრენა მტრედთა.  
მარიამობას, ზარების რეკვა,  
გარდასახვა და მეტყველი ზეცა,  
მონანიება – კვლავ პატიება  
და მიტევება ცოდვილთა მდებთა.  
ფერისცვალება – დღეთა და ფერთა  
სულთა ზეიმი, უსაზღვრო შვება,  
გარდაუვალი, დათქმული ბედთან,  
ამ დღეს იქნება ყვავილთა ფენა...  
მარიამობას, ბორკილთა მსხვრევა,  
გაჭირვებულთა დაცვა და შველა,  
მარიამობას, წყურვილთა მოკვლა  
და უკვდავების წყაროთა დენა.  
მარიამობას შენ მოხვალ ჩვენთან,  
განგებამ რადგან ასე ინება,  
გადაიხსნება კამკამა ზეცა, –  
ამ დღეს გვაჩუქებ საოცარ რწმენას.



\* \* \*

უმზერდე სამყაროს სათვალით,  
ვფიქრობდი, ეს მე არ მჭირდება:  
ადიდებს, ამცირებს, აკნინებს –  
სხივები ათასფრად იჭრება...  
ახლა, დრომ სხვა სახე მიიღო,  
ლინზები ყველაფერს სჭირდება,  
ცხოვრებაც ჯიუტად მაზომებს  
და კიდევ უამრავს მპირდება...

## დაბადებიდან მე მპონდა შიში

დაბადებიდან მე მქონდა შიში...  
ყველაზე მეტი – ყველაზე დიდი,  
ქების, პატივის და განდიდების  
დაბადებიდან გამომყვა შიში...

\* \* \*

პატარა ჯუჯა ბრონეული  
როცა აყვავდა,  
როცა ფერები მეწამული  
ააღაულაუა,  
მე მომეჩვენა, მღეროდა  
თავის ტონალობაში, –  
მარტო ყვავილის აყვავებას  
ის ხომ არ ჰეგავდა...  
საკითხავი კი, ჩემდა თავად,  
აი, ეს დამრჩა:  
თვითონ მცენარემ რა დაარქვა  
თავის მუსიკას...





## გედის ხათაბალა...

უძლურია ახლა  
ფანტაზია – განცდა,  
მომდგომია კართან  
ბედის ხათაბალა...  
ჩანს, ამაოდ ვცდილობ  
ყველაფერი ავხსნა –  
წუხილმა და დარდმა  
ამირია თავგზა...  
იჭორავეთ ჩემზე,  
ააგორეთ ტალღა,  
არ დავეძებ, არა –  
ვის აუგი დაგცდათ,  
თქვენს სარკეში, ალბათ,  
უკეთესად ვჩანვარ...  
არ მღალატობთ ვიცი –  
მომეხმარეთ ახლაც...






\* \* \*


რაღაც სათქმელი მაქვს...  
მაგრამ „თქვენ“ ამისთვის მკვდრები ხართ...  
რა ეშველება ახლა ჩემს აზრებს?  
სასაფლაოზე უნდა ვატარო?  
ამიტირდება სიტყვა ობოლი –  
ყელს გაეჩრება სიტყვა სათქმელი...  
და საბოლოოდ ამოიძახებს:  
ყრუნო და ბრმანო ვაი თქვენ... და მე...





## ორ არსენას – პაპუას და შვილიშვილს

ის აღმერთებდა უროს და საჭრისს –  
 ჩვიდმეტი წლისამ ააგო სახლი  
 (დადიანები ბრაზობდნენ ამით:  
 რატომ დადგაო სასახლე თავის).  
 ბაბუა ქვითკირს ანდობდა ფიქრებს,  
 ქვაში აწრთობდა საკუთარ მიზნებს:  
 ბორჯლალოს თლიდა, – მუშთარს და მთიებს,  
 აჭახრაკებდა ქორბუდა ირმებს,  
 „სიცოცხლის ხეში“ აქსოვდა იმედს  
 და ამაგრებდა ბუხარის ფილებს;  
 ბაბუ წასარეთს ამყნიდა კვირტებს,  
 ის აშენებდა „სამოთხის კიდეს“;  
 თავის საფიქრალს, საქმეს და სიტყვებს  
 ის უტოვებდა მომავალს – შვილებს.  
 ალბათ, მის გენებს მოჰყავდა უინზე, –  
 ბაბუა წვრთნიდა ჯიშიან კვიცებს,  
 წისქვილს აგებდა ოკაცის პირზე,  
 ხან, იზაბელას ეძებდა ჯიშებს.  
 არსენაც, მისას მიჰყვება ფიქრებს,  
 ურთხმელს დაეძებს კლდეების პირზე,  
 გაზაფხული რომ მოახლოვდება –  
 ისიც აგროვებს დასამყნობ კვირტებს.  
 ალბათ, ბაბუა სახავდა მიზნებს,  
 ალბათ, მისდევდა ამდაგვარ ფიქრებს:  
 წინაპრებს თუ აქვთ ჭკუა და სიბრძნე,  
 მას შვილიშვილიც კვალდაკვალ მისდევს!..




\* \* \*

შემოდგომაა, ცვივა ფოთლები,  
ქარი, სიცივე არის გულუხვი,  
მაგრამ მე აპრილს ვერ დავშორდები,  
ფეთქავს იმედი გულის კუნჭულში.

### მანამეთ სხვის გამოც...


მაწამეთ, ჩემს გამო, სხვის გამოც,  
ათასჯერ მესროლეთ ტყვია!..  
ნაძრახი არ მომცეთ სიცოცხლე!  
არა მაქვს სხვა რამე მიზნად,  
ოღონდაც, ტალახში ნუ გამსვრით,  
სხვის გამოც, მესროლეთ ტყვია!...



## ვენომენი

ჯ. იოსელიანს

არც ადვილი არის ამის განსჯა:  
რა მოვლენას ერქვა – „ეს სახელი“...  
ეს მოვლენა არის ერთი, განა?  
დაისაჯა, დამახინჯდა ერი...  
ვინ განსაჯოს? – ვინ დაადოს ხელი,  
ყველაფერს აქვს თავის განაწესი...  
სიმახინჯე! – ამას თუკი ერქვა,  
მაშ, მიზანიც იყო ერთადერთი –  
„მისი“ სახე დაგვენახა ჩვენში...



## თუკი სათქმელი...

თუკი, სათქმელი ბევრი დაგროვდა,  
დამძიმებულმა რომ არ იარო,  
უნდა დაწერო, უნდა გამოთქვა,  
სხვას ფიქრი შენი გაუზიარო...  
სხვასაც ჰქონია სათქმელი ბევრი,  
რითმები თითქოს კიდეც გახედნა,  
თითქოს სწყალობდა ამაში ბედი,  
სიტყვის თქმა მაინც ვეღარ გაბედა...  
გამბედაობა თუკი გეყოფა:  
იყოს თამამი სიტყვა და აზრი...  
მკითხველი მაშინ უფრო გენდობა, –  
თუ არის სიტყვა წრფელი და სალი.  
რა განიცადე, რა დაინახე,  
ხალხს ყველაფერი აინტერესებს  
და ელოდება დამშეულივით,  
გრძნობით გადმოღვრილ ნამდვილ სტრიქონებს.  
ყოველი აზრი – აზრია ქვეყნად,  
თუ წარმოიშვა იგი საერთოდ;  
იპოვის ალბათ, მას ვინც დაეძებს  
და აქვს უფლება რომ იარსებოს!

\* \* \*

შემოღამებას შემოჰყვება  
რახსისფერ ფრთებით,  
ჩამოატარებს, ჩამოუშვებს  
ბინდისფერ ფარდას;  
დაეკარგება ყველა საგანს  
ცხოველი ფერი,  
შემომაჩეჩებს სევდიანი  
ამბების დასტას –  
ჩემს მოგონებებს, ლამაზ დღეებს  
დაალბობს ცრემლით...  
თვალს გავაყოლებ ოქროსფერი  
სხივების ჩასვლას,  
ამაოდ ვეძებ სიბნელეში  
ოცნებებს გამქრალს.

## სიცოცხლის ბოლოს...

გამუდმებულად კრთის და კანკალებს,  
როგორ მიაგავს სიცოცხლე ფოთოლს;  
მისი სიმშვიდე ჰყიდია ყუნწზე,  
ჩვენი – ყოველთვის დალეულ ბეწვზე...  
გაპყვება წვიმას, ქარიშხალს, ნიავს,  
თუ შემოდგომის ღამეულ წყვდიადს,  
იქნებ, ნარნარით ჩაეშვას წყალში  
და მდინარებას გადაპყვეს მისას.  
იქნება იცდის, თუ როდის მოთოვს,  
სიცოცხლეს მისას რარიგად მოშთობს...  
არავინ იცის – სიცოცხლის ბოლოს, –  
რა ელოდება გაცრეცილ ფოთოლს...  
გზის გასაყართან მორჩილად ვიცდით,  
როდის მოვწყდებით არავინ იცის...  
ჩვენ ვემსგავსებით ცახცახა ფოთოლს,  
სიცოცხლის ბოლოს, სიცოცხლის ბოლოს!..



\* \* \*

გადაუვლია მის თავზე  
ომს, ქარტეხილებს უამრავს,  
ხმალამოწვდენილ მეომარს  
ქვეყნად ბევრი რამ უნახავს.  
ახლა დამნდარა ვნებები,  
ყვება არაკებს ბუხართან, –  
ნარსული, სიტყვა – საქმენი  
ზღაპრებად შემოუნახავს...



## ვჩეარობ, არ ვჩეარობ, ერთი ფასი აძვს...

მე ვიცი, ჩემი თვალების ფერი,  
ოდესღაც, ჩემში მზე რომ აანთეს...  
ახლა, თანდათან ყველაფერს ვხვდები,  
არ ვიცი მხოლოდ, დრო რას დაარქვეს...  
ამის გაგება ყოველთვის მიჭირს:  
საიდან მოდის... საითკენ მიდის,  
მაინცდამაინც აქ რატომ ვიცდი...  
ან ჩემი დროის რატომ ვარ შვილი?..  
მაშინ და როცა, ახლა და მერე,  
რა იზომება? რას ადარებენ?..  
ვჩეარობ, არ ვჩეარობ ერთი ფასი აქვს  
და ვერ ვგებულობ, წინ ვარ თუ ბოლოს...  
რაღაცას რაღაც ხომ უნდა მოჰყვეს?...  
არადა... რაღაც, მეც ვგრძნობ, რომ იძვრის...  
მას ვერ ვუწოდებ ჩეარულს, ან მდორეს,  
ის ერთი ტემპით მიდის და მიდის!..



## გვიან ინახებ...

სჯობს, რომ არ იყო მონა-მორჩილი,  
გისაყვედურონ, გითხრან უარი...  
განა, ყოველთვის „კეთილშობილი“  
არის მართალი და უტყუარი?

ვერ ჩაეტევა რკინის ჯავშანში  
დიადი სული გამომწყვდეული,  
გვიან ინანებ თუ კაეშანში  
ჩაქრება სული გამორჩეული.

თუ იკვეთება სწრაფვა-მიზანი,  
თავდაჯერება – ბრძოლის უნარი,  
ბედის რჩეულიც სწორედ ის არის,  
მის გვერდით დგება, სწორედ, უფალი...



## „იორეთ“\*

(როლანდ ჯანაშვილის ხსოვნას)

მეგობრები ჯანას საფლავზე – გეთსიმანის ბაღში,  
მისი გარდაცვალებიდან 20 წლის შემდეგ  
რადგან წლებმა ყველაფერი შეიწირა,  
ჩვენ ცოცხლებმა ერთმანეთი ვერ მოვნახეთ.  
ახლობლებმა წმინდა მიწას მიგაბარეს  
და სიმშვიდით ამ ქალაქში განისვენებ...  
ამ მიწაზე ფეხი დავდგი მოწინებით...  
შენს ძმობას და ვაჟკაცობას გეფიცები,  
ახლა შენთან ჩამოვჯდები ცივ საფლავზე,  
ახლა ტირილს ველარავინ ვერ დამიშლის,  
აქ, ვერავის გავაკვირვებ ცხელი ცრემლით,  
არც არავის არ აკეირვებს მწარე ხვედრი,  
ეს ხომ ცრემლით გაჟღენთილი ძველისძველი –  
ქალაქია „ირა შლემის“ და გოდების...  
ძველებურად მიღიმოდე როგორ მინდა,  
ძველი გრძნობით, იმ დროის და იმ ხალისით,  
აპა, ძმაო, მოგიტანე ჩვენი მიწა –  
დიდი სუნთქვა ქუთაისის და მაისის.  
ჩამოვჯდები... ჩემს ამბებსაც მოგიყვები:  
სად ვიყავი, რა ვიყავი, რა გადამხდა...

\* „იორეთ“ შემოდგომისა და გაზაფხულის პირველი წეიმა ისრაელში.

## მუსიკა

რომ დავლიე ბევრი წლები მოთმინებით,  
მეგობარო, შენი ხელი რარიგ მაკლდა...  
ალბათ, გიკვირს შევერცხლილი ეს ჭაღარა,  
ამ ცხოვრებამ განა მარტო ეს მაკმარა?  
შენ კი, ძმაო, ეს ჭაღარაც არ გელირსა,  
მიგვატოვე უდროოდ და ახალგაზრდამ...

გეტყვი, ალალად, გულში რაც მიდევს:  
რომ გადავლახეთ ყველა კარიბჭე,  
რომ შევასრულეთ ყველა პირობა,  
არც რას ვეძებდით, არც რა გვინდოდა,  
ვინა ვართ, რა ვართ – არ გვიძებნია  
და სიყვარული არ გაგვიყვია.  
რომ მეგობრობის დავდევით ფიცი,  
რომ მეგობრობა რა არის ვიცით,  
ჩემო ძვირფასო, არც ვაზვიადებ,  
ჩვენ მეგობრობა გავადიადეთ!..

როცა ქალაქის კედლებს გამოვცდით,  
როცა ქალაქი დავტოვეთ მაღლა;  
მალე ღრუბლები წამოიშალა  
და გაგვაკვირვა წვიმამ და ქარმა,  
ვთქვით: ჩვენთან არის ახლოში ახლა  
და მიგვაცილებს მეგობრებს ჯანა...  
ჩვენ გავიხსენეთ მისი სიტყვებიც,

როცა წავიდა ზეცაში მაღლა:  
„წვიმა პირველი – უკანასკნელი“...  
წვიმა პირველი – მაისის წვიმა  
საბედისწერო აღმოჩნდა, მართლაც...  
ის მოუთმენლად გველოდა ალბათ,  
წვიმას ატანდა თავის დარდს – სათქმელს,  
მისი ლილინი და ქარის ნანა  
მიგვაცილებდა დაკლაკნილ გზაზე:  
„შალომ იორეთ,  
გეშემ იორეთ,  
თოდა ხავერიმ, ანი სმეხა...  
ლეითრაოდ ხავერიმ,  
ბეზეირუთ ხავერიმ,  
ლეათ, ლეათ, ხავერიმ!..“  
პირველი წვიმით მოგესალმებით!..  
მადლობა, მეგობრებო, ამიხდა ნატვრა!..  
მადლობა, მეგობრებო!..  
ნახვამდის, მეგობრებო!..  
იარეთ ფრთხილად, იარეთ წყნარად!..

\* \* \*


სული ლაუვარდებით – მზესთან ნაფერია,  
ფრთებზე დაფენილი – სივრცე – აფრებია,  
სული წმინდათ-წმინდა – მადლით ნაფენია –  
ცათა – ანგელოზთა დასი ახვევია...  
სული დამშვიდებას ვეღარ ეღირსება,  
სანამ ფანტაზიას ბინდი ეფინება,  
სანამ ცრემლებია – არის განბილება,  
სანამ წარმოსახვას თვალი აწილადებს...  
აქ თუ, მიწიერი ტანჯვით მემუქრება,  
აქ თუ, ყველაფერი მხუთავს – მავერანებს,  
სული დაპრკოლებას ვეღარ ეგუება, –  
ჰოდა, ამ ქვეყნიდან, დროა, წამიყვანეთ...




## მოგონება

დიდი ზამთარია... გადაუღებლად თოვს...  
ის ციხეშია გამომწყვდეული, მე კი გორდის  
მთებში... სიცივეა და თოვს:  
უიმედობა, უიმედობა, უიმედობა...

შენ გაყინული ზიხარ ბუხრის ნინ  
და თვალს უშტერებ, იმედით შექმნილ,  
ამ გაზაფხულის კიდევ ერთ აპრილს...  
ბუხარში ცეცხლის გიზგიზებს ალი,  
ფანჯრებსა ასკდება წყეული ქარი...  
შიში თუ გიპყრობს, სიცივეს თუ გრძნობ?  
თუ უკვე გახდი ყინულის ქალი...  
დარჩები, წახვალ, მოვლენ თუ წავლენ  
ნუთუ ეს შენთვის სულერთი არის?  
ხედავ? – დაფარა მიდამო თოვლმა,  
გესმის? – საშინლად ზუზუნებს ქარი,  
მაგრამ შენ უკვე მთლად გაყინულხარ  
და ალარაფრის არა გაქვს თავი...  
...მაგრამ, შენ იცი, ახლა სადღაც შორს,  
ვიღაცას შენზე აწუხებს დარდი,  
ვიღაცა შენგან მოითხოვს შველას –  
სიცოცხლეს ითხოვს შენგან ის კაცი...  
იცი, რომ ახლა ზამთარი არის,



იცი, რომ ახლა სიცივე არის...  
შენ ისიც იცი, მოვა ზაფხული,  
პაპანაქება აგვისტოს დარი...  
მაგრამ... ყინული აღარ გადნება,  
თქვენ ვერ გაგათბობთ სიცხე და დარი...  
შენ გაყინული ზიხარ ოთახში,  
ბუხარში ცეცხლის გიზგიზებს ალი,  
შენ აღარაფრის არა გაქვს თავი...



## დუმილი

სულს სიმარტვილე რარიგად ამკობს,  
როცა მის წიაღს ნათელი მოსავს,  
ზოგჯერ დუმილი უფრო მეტს ამბობს,  
არც ერთი სიტყვა არ იძვრის როცა.

გულისთქმა ზრახვებს არავის ანდობს,  
თავისთვის იღვნის, შფოთავს და როკავს,  
რამდენი ბოლმას – დუმილში ახრჩობს, –  
აუტანია უსიტყვო ძრწოლას.

დუმილი მოპეგავს ვულკანთა ნაშობს,  
სიწყნარის ჭერქვეშ ხმაური ბორგავს;  
როცა სიჩუმეს არასგზით არ თმობს,  
მაშინ დუმილი ყველა ხმას ახშობს.

უნაზეს ტრფობას სხვა სხივი ახლავს, –  
რა შეედრება უსიტყვო ამბორს;  
როცა დუმილი თავის ხმას კარგავს,  
მაშინ ხომ იგი ყველაფერს ამბობს...

## ავი ღრუპლები

ცის კიდე ჩამოაბნელეთ,  
 კარვები გიდგათ საავდრო,  
 სამგლოვიაროდ მორთულხართ,  
 ცისიერ გინდათ დაჯაროთ.  
 საით მიდიხართ ღრუბლებო,  
 დარდი რამ მინდა გაგანდოთ:  
 ავი ფიქრი და წუხილი  
 ცხოვრებამ რატომ დამანდო?!  
 ან უიმედო ცრემლები,  
 რამდენი უნდა დავღვარო?..  
 გსურთ, დააბნელოთ ცის კარი,  
 ჭექა-ჭუხილი გამართოთ;  
 თქვენი მრისხანე სურვილი,  
 ვის მიმართ უნდა აღმართოთ;  
 ეს ჩემი ტანჯვის ცრემლები  
 ვის კარზე გინდათ დაღვაროთ?  
 იქნებ, ის მაინც დაინდოთ,  
 იქნებ, ეს მაინც გადადოთ!..

## ვაშლს ღებავს ევა...

ვაშლს ღებავს ევა,  
სისინებს გველი...  
ეს, მერამდენედ?  
თავის ქვეყანას  
ანადგურებს  
„მშვიოთვარე“ ერი!..

## შეიძლება...

შეიძლება მე ამაღამ გავგიუდე  
და შეშლილი დამიძახოთ ქალი...  
შეიძლება მე აქედან წავიდე  
და არაფრის არ დავტოვო კვალი...  
ჩემი ფიქრი არ არსებობს რაკი,  
გრძნობა ჩემი გაიყინა რაკი,  
ჩარაზული გამოაღეთ კარი,  
შენობები ვერ დაიტევს აჩრდილს...  
სადღაც მიჰქერის ანთებული კვარი,  
ახალ მნათობს გზას უთმობენ ცაში,  
მე არა ვარ ამ მიწის და ამ ცის...  
ვარსკვლავის გზას მიუყვება კვალი...



## ამ ვერბებს არა აქვთ სადაც

ჯიუტად მივყვები აღმართებს,  
გრძნობები ცდუნებებს აღძრავენ,  
დაღლილი გავცდები ამ საზღვრებს,  
ჩვენს ვნებებს არა აქვთ სადაც.

ეს გული ვიდრე ცრემლს დამადენს  
ჩემს ნეშტსაც მიიღებს სამარე,  
სამყარო ივიწყებს? – არაფერს,  
დრო-უამი ყველაფერს ღალადებს.

ფუჭია განცხრომა, სავანე,  
ვერავინ ასცდება განაწესა,  
სანამ მზე ცის თაღზე ანათებს,  
ქვის ლოდიც მიიღებს განაჩენს.

როცა სვე დღის ნათელს გადაკვეთს,  
ვნებები ეგების ჩანაცრდეს,  
თუ მადლი არსს ნათელს გადაფენს,  
სიტყვები ხმას ლოცვად აღავლენს.



## მე მოვალ შენთან...

მე მოვალ შენთან  
და გადაგიშლი გულს –  
გეტყვი: ძვირფასო,  
გავიდა წლები...  
და მოგიყვები სიცოცხლის ბოლოს,  
როგორ მიყვარდი, როგორ მიყვარდი...  
ალბათ, მიხვდები, როცა შეგხვდები,  
რომ დაუნდობლად მათოვდა წლები;  
გამოვიარე ზამთრის სიცივე,  
დაუნდობელი ყინვა და სუსხი...  
ქარშიც, წვიმაშიც და ქარიშხალშიც  
მე შენ მახსოვდი...  
მე შენ მიყვარდი!..  
როგორც გამზრალი – საბრალო ჩიტი,  
შევიკედლე და ჩავბერე სული,  
დიდი სიფრთხილით და მოფერებით  
გადავარჩინე ეს სიყვარული!...  
„მე მოვალ შენთან  
და გადაგიშლი გულს,  
არ ვიცი, „ტკივილს იგრძნობს თუ არა“,  
მაგრამ, მე მჯერა, გამოწრთობილი  
და გამოცდილი ეს სიყვარული  
ზეცაში ავა!..



## უფალი გვისმენს

თვალი აქვს კედელს,  
ხეს, ფოთოლს, ტყესაც,  
ის ყველგან არის,  
ყოველგან მოვალს!  
უფალი გვისმენს,  
უფალი გვხედავს,  
როდესაც ვცოდავთ!  
ის ყველგან არის,  
ყოველგან მოვალს!  
უფალი გვისმენს,  
უფალი გვხედავს,  
როს ვდგებით ლოცვად!



## კაცის ღირსებები რადგან გაიწირა!..

სული სიმწარისგან ისე დამიმცირდა,  
ჩემი სათნოება, ვგრძნობ, რომ დამიმწირდა,  
კაცის ღირსებები რადგან გაიწირა –  
ჩემი კიდობანი რადგან ჩაიძირა!..  
გულმა ჭრილობები ვეღარ დაიმშვიდა,  
მტერმა იმედები ისე დამიმინა,  
მხედარს დავემგვანე – მორთულს ბრძოლის წინათ,  
მძიმე საჭურველი მხრებზე დამიმძიმდა....



\* \* \*

როდესაც ლოცვანს ავილებ ხელში,  
შეუცნობელი ბუტბუტებს ჩემში:  
ღმერთო, მომმადლე ნათელი სხივი,  
ღმერთო, მიბოძე წმინდანთა ნიჭი;  
რაღაც რომ იწვის, მოჰყავს ზენა ქარს,  
პატარა კვარი ჩაუქრობელი,  
წმინდა ხატებთან, იქნებ, ჩვენცა ვართ...  
თუ ზეციური განაგებს ყოველს,  
თუ მიწყალობებს, მდაბალს და ულირსს,  
იქნება, ჯობდეს, წრფელი სიტყვებით,  
თვითონაც წარვსდგე წინაშე უფლის.



## ფრთხილად, მარიონეტებო!..

მათ, ვინც ჩვენს კულტურას ანგრევს  
თავისი „მოლვანეობით და შემოქმედებით“.

ჩვენ შეგვშვენოდა დამპყრობლებთან ბრძოლა გმირული,  
გვაძლიერებდა წამებული ასიათასი.

ახლა კი, მოდის განსაცდელი სახეშეცვლილი,

ახალი ჭირი, ვერაგული და შემზარავი!..

გსურთ! აღასრულოთ სამარცხვინო თქვენი გეგმები,

ხელის მოქნევით დაანგრიოთ ჩვენი სიმდიდრე!

ვერცერთ დამპყრობელს, თუნდაც სასტიკს, ვერ შეგადარებთ,  
თქვენთან ბრძოლაც კი დაგვამცირებს – დაგვასამარებს!..

თქვენ იკვებებით, უსუსურნო, ბილწი ბალლამით,  
გადმოგდებული, ნათხოვარი, სხვისი მათარით.

ვინ გამოგთითხნათ – აგაშენათ ბილწი მასალით,

საიდან მოდის დაწყევლილი თქვენი მარაზმი,

რა შთაგონებას მივანერო თქვენი ნასაქმი

ან ისტორიას რა უფლებით უნდა შეეხოთ?!..

თქვენი ნაღვანი – მკრეხელური შემოქმედება

კაცობრიობის ნაგავსაყრელს მალე აავსებს!..

...არც კაცი გქვიათ და არც ქალი, უსახურებო!..

მოგზავნილებმა, დემონებმა ხორცსხმა დაიწყეთ.

დაწყევლილი ხართ, დაგმობილი – თავად უფლისგან, –



მართლაც, ეშმაკის ნაშიერნო – არაკაცებო!..  
პრეტენზია გაქვთ, გააშავოთ თეთრი ფურცლები,  
გადმოანთხიოთ მომწამლავი თქვენი აზრები.  
გადაშენდებით! კლონირების სუსტო კლანებო, –  
კაცობრიობის სამარცხვინო ეგზემპლარებო!..



## დედა

ვერ სჭრიდა ხმალი, მწუხარება და ვერცა წყევლა,  
ის იყო გმირი, ყველა დროის გრძნობათა ნება,  
ჩამოლვენთილი სხეულისა მალამოდ დენა,  
ეს იყო მცველი, ანგელოზი – კერიის დედა.

არის სიცოცხლე, სიყვარული და განახლება,  
ომმა, მახვილმა, სისასტიკემ ვერ გადათელა;  
ჩვილთა მფარველი, მოალერსე, ფარული ზენა,  
ობლის კარებთან გადარგული ალვა და თელა.

გთხოვ, მაპატიო, დამიფარე, მიშველე დედა, –  
მსხვერპლსაც და მეხრმლეს აღსასრულად ეს აღმოხდება;  
თუკი, წარწყმედად ეს ხელობა არგუნა ღმერთმა –  
დედა ჯალათის საცხოვნებლად დაიწყებს ღვენთას.

დრომ ვერ შეცვალა, ვერ შელახა, ვერ გადაფერფლა,  
მორწმუნეთა და ურწმუნოთა არს თაყვანცემად;  
ხელშეუხები, შეუვალი – უბრძენეს ბრძენთა,  
განურღვეველი, შეუმცდარი – რწმენათა-რწმენა.

რაც უჭქნობია, სათუთია, აროდეს კვდება,  
არის სახელი, ერთადერთი – მშობელი დედა.

## 30 გაპატიებ!

უთანასწორო თუნდაც,  
ბრძოლაში თუ დამამარცხებ, –  
მე გაპატიებ...  
ლალატს!  
სიშლეგეს!  
ფუძის ამოთხრას!  
ქვეყნის დაქცევას!  
ვერ გაპატიებ!..



## ეს ის ფერია

ლაუგარდისფერი რა ფერია? –  
მივყვები განცდას...  
რა აირეკლავს – ალამაზებს –  
საიდან გაჩნდა? –  
ყველაფერს ხომ აქვს ზომა-წონა,  
ფერი და გამა.  
იქნებ, ეს ფერი მოგვაგონებს  
ძველისძველ ამბავს  
(და ნუ მივყვებით, მანდამაინც,  
თვალხილულ განსჯას),  
იქნებ, ეს ფერი კიდევ სხვა ფერს,  
რომელსაც არ ჰგავს,  
მას აირეკლავს –  
გარდასახავს,  
და გრჩება განცდა –  
ეს ის ფერია, ძველთაგანვე  
რომელსაც ახლავს,  
ეს ის ფერია,  
მანდამაინც,  
რომელსაც არ ჰგავს...

## აზრის უფლება

სჯობს, რომ არა თქვა  
და თუ მაინც თქვი,  
იქვე შეცდომაც დაშვებული არის უთუოდ!..  
აზრი ვის უნდა?!  
ვინ დაეძებს,  
ანდა ვის აწყობს?!  
აზრს დაცვა უნდა  
იარაღის ძალით,  
„მანქანით“!..  
უიარაღოს, სუსტს, უმიზნოს, უმისამართოს  
აზრი რად უნდა?!  
სასაცილოა მისი აზრი და უადგილო...  
აზრს აზრი აწყობს,  
აზრი იცავს, აზრი განაგებს!..  
თუ ზღაპრებს ყვები,  
ბაიათებს, ანდა არაკებს,  
არავინ გეტყვის: ჰეი, მეზღაპრევ,  
დროა გუდას პირი გაუკრა!  
მაგრამ?! – ვაითუ, გადაადგი ფეხი ნაკრძალში...  
ნუ გაირჯები, ნუ დახარჯავ დროს მის დაცვაში.  
...სასაცილოა, მაშინ აზრი და უადგილო...

## რატომ მიყვარდი?

რატომ მიყვარდი? – გეტყვი სიმართლეს,  
შენ გიზიდავდა სულის სიმაღლე,  
აზრი გიჭრიდა, ჭკუა-გონება,  
არ ხარბდებოდი ოქრო-ქონებას.

რატომ მომწონდი? – გეტყვი სიმართლეს,  
არ გატყუებდა ყალბი სიმაღლე,  
სხვისგან სამართალს შენ არ ელოდი,  
გამუდმებულად შენს თავს ებრძოდი.

რატომ მიყვარდი? – გეტყვი სიმართლეს,  
შენ გაკვირვებდა უფლის სიმაღლე,  
შენ მის კარებზე აკაკუნებდი  
და მის სამართალს ელოდებოდი.

რატომ გელოდი? – გეტყვი სიმართლეს,  
შორეული გზის სხივი – სინათლე  
აღმოგაჩინე და დაგინახე...  
მე შენ მიყვარდი, მე შენ მომწონდი,  
მე შენ ყოველთვის გელოდებოდი!..

## ის კაცი გაიმარჯვებს

ვისაც სიცოცხლე უყვარს,  
მშვენიერებას აქებს,  
უყვარს სამყაროს ხილვა,  
ცისმარე თვალებს ახელს,  
ვინც უფლის ძალას ხედავს  
და მის სამართალს არჩივს,  
სულს სათნოებით კვებავს,  
სიძულვილს საზღვარს ადებს,  
არ დევნის თვისთა მსგავსთა,  
გულს სიყვარულით ანთებს,  
უყვარს მოყვასის შველა,  
სამადლო საქმეს არ სდებს,  
აქებს შრომას და გარჯას,  
გონებას აჯანსაღებს,  
არ არის სხვების მონა,  
არ ეპუება თავხედს,  
იცის ცოდვა და მადლი,  
გულს სინანულით ავსებს,  
ვინაც დიდებით მოვა –  
ის კაცი გაიმარჯვებს!

## სარჩევი

მწამს .....	7
თუ ბედი ინებებს... .....	9
სული ქართველთა .....	11
პოეტი – პოეტს .....	13
სევდის ანგელოზი .....	14
ავი სიზმარი .....	15
მე მესმის შენი...	16
ღვთაებრივი განაწესი .....	17
ათას წლის შემდეგ .....	20
ეპოქა .....	22
სიკეთის მარცვალი .....	24
ცას შესევია ავი კალია .....	25
სიცოცხლე ადიდა .....	25
მე არ ვარ შარლი...	26
კერის მფარველი .....	28
ვაი, რა ცუდად დაგვჩემდა .....	29
ასწლოვანი ცაცხვის ხე .....	30
სირცხვილი ჯალათებს!..	32
გაზაფხული მოგილოცე დედა .....	34
გრიგალი შეცვლის ჩვეულ განედებს .....	35
ბერმუბა .....	36
*** (არ მიყვარს...) .....	37
მზეა დაკარგული .....	38



აპრილია .....	41
ჩირალდნით ხელში .....	42
მზეჭაბუკი .....	43
ქართვლის მინდვრები .....	44
მოვა თაობა .....	45
ქარავანი ცათა .....	46
აჩის .....	46
გაზაფხულია .....	47
ნისლები .....	48
რეიტინგომანია .....	50
*** (პრძოლაში ნაწრთობს...) .....	51
მზე ამოხდა .....	51
ქება-ძაგება .....	52
*** (რაც გადამხდა...) .....	52
თუ, პოეტური რამ არის შენში .....	53
ორსახა მთვარე .....	54
*** (შავი ტალღები...) .....	56
ცუცნა .....	57
არის ამგვარი .....	58
მზე ადიდდა .....	59
*** (მაშინაც კი...) .....	60
თქვენი სცენარით არ თამაშობს მემატიანე .....	61
*** (მე ვიცი კაცი...) .....	62
გმადლობ, უფალო! .....	63
ვერ ვცან კაცობად .....	64
ის და დემონი .....	65



თქვენი დროც მოვა .....	66
*** (ჩვენ ვწერთ...) .....	67
*** (გაივლის წლები...) .....	68
მედეას დაბრუნება .....	69
ზამთარი დადიანების სასახლეში .....	72
კოლხეთი .....	73
მუზა .....	75
საფეხურები .....	76
ღმერთო, დასწყევლე ბოროტი .....	78
ნიღბები .....	79
უთხოვარის ხე .....	81
გზა ნათელისა .....	82
შენ უწყი, უფალო .....	83
ხეჭეჭური .....	84
ადგილის დედა .....	86
გორდის მთებს .....	88
ტირანი .....	90
ვუძღვნი პატრიარქს .....	91
მზემ დაუშვა ფარდა .....	92
ეს ყველაფერი მაკვირვებს!..	93
*** (თუ ის არ არის...) .....	94
ჩემს ანგელოზს .....	95
ბრძოლა დაიწყო .....	96
საზოგადოების კალაპოტში .....	97
თუ გული არ გტკივა .....	98
არ მავიწყდება!..	99

რაღაც მეორდება .....	101
ქარს .....	102
არ ჰეგავდა ყვავილს .....	103
დაუანგდა პაპის დუქანი .....	104
*** (აღარ დამიმატოთ....) .....	105
ბედის მხედარი .....	106
რა ხალხი ხართ?! .....	107
ბებერ მუხას .....	108
სიზმარი .....	109
ბედისწერა .....	111
კვლავ ველოდები მზეს და განთიადს .....	113
ციური მადლი ვისაც უფვნია .....	114
ბრძენი – პოეტი .....	115
აზრი მებედება .....	116
...რომ დავიბადე აპრილის თვეში .....	117
ცვლა .....	118
შეხვედრა .....	119
რაღაც ირჩევა .....	120
ქართველ ხალხს! .....	120
მწუხრის ლანდები .....	121
პოეტს... .....	122
თამარ ლობჟანიძეს .....	123
მეგობარს .....	124
ვუძღვნი ადამიანებს .....	125
მასზე და მანვე (ადამიანზე) .....	126
ვინ არის იგი?.. .....	127



დედამიწაზე რატომ ჩამოდი?.. (ბიძინა ივანიშვილს)	128
*** (დახუნდლულ ფრთათა...) .....	129
სოსო შალამბერიძეს .....	130
იქნება შევძლო... .....	131
რა აფერადებს კაცის გვირგვინს?..	132
*** (გთხოვთ, ნუ შეწუხდებით...) .....	133
თვითმკვლელობა .....	134
მან ანგელოზი იხილა ჩემი .....	136
სკვინჩავ, რას ამბობ?.. ..	137
კესანე .....	138
მარიამობას .....	139
*** (უმზრდე სამყაროს...) .....	140
დაბადებიდან მე მქონდა შიში .....	140
*** (პატარა ჯუჯა ბრონეული...) .....	141
ბედის ხათაბალა... .....	142
*** (რაღაც სათქმელი მაქვს...) .....	143
ორ არსენას – ბაბუას და შვილიშვილს .....	144
*** (შემოდგომაა, ცვივა ფოთლები...) .....	145
მაწამეთ სხვის გამოც... .....	145
ფენომენი .....	146
თუკი სათქმელი... .....	147
*** (შემოღამებას შემოჰყვება...) .....	148
სიცოცხლის ბოლოს... .....	149
*** (გადაუვლია მის თავზე... .....	150
ვჩქარობ, არ ვჩქარობ, ერთი ფასი აქვს... .....	151
გვიან ინანებ... .....	152

„იორეთ“ .....	153
*** (სული ლაუვარდებით...) .....	156
მოგონება .....	157
დუმილი .....	159
ავი ღრუბლები .....	160
ვაშლს ღეჭავს ევა... .....	161
შეიძლება... .....	161
ამ ვნებებს არა აქვთ სადავე .....	162
მე მოვალ შენთან... .....	163
უფალი გვისმენს .....	164
კაცის ღირსებები რადგან გაიწირა!.. .....	165
*** (როდესაც ლოცვანს...) .....	166
ფრთხილად მარიონეტებო!.. .....	167
დედა .....	169
ვერ გაპატიეპ!	170
ეს ის ფერია .....	171
აზრის უფლება .....	172
რატომ მიყვარდი?	173
ის კაცი გაიმარჯვებს .....	174



დაკაბალონდა და დაიბეჭდა  
შპს „მპა-კოლიგრაცის“ მიერ  
ქუთაისი, ა. წერეთლის ქ. №186  
ტელ.: 0431 23 45 54